

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიში

• ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

ადამიანური რესურსების მართვის ნაწილში ადმინისტრაციის საქმიანობის ერთერთი ძირითადი მიმართულება 2011 წლის განმავლობაში, უკავშირდებოდა რეორგანიზაციის გზით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან შემოერთებული სხვადასხვა ინსტიტუტის ხელახალ რეორგანიზაციას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ნოდარ სურგულაძის 2011 წლის 28 ივნისის №02-7507/11 წერილით ეცნობა იმ პრიორიტეტული სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების შესახებ, რომელთა დაფინანსებაც მიზანშეწონილად მიაჩნია სამინისტროს. ამ გარემოებამ გამოიწვია არაპრიორიტეტულად განსაზღვრული ინსტიტუტების დაფინანსების შემცირება, რიგ შემთხვევებში კი-შეწყვეტა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭირო გახდა არაპრიორიტეტულად განსაზღვრული ინსტიტუტებისთვის უნივერსიტეტს გამოეძებნა ფუნქციონირების გარკვეული ფორმა. აღნიშნული ინსტიტუტების მკვლევართათვის უნივერსიტეტში შემუშავდა ახალი ტიპის შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც საშუალებას აძლევდათ მკვლევარებს უნივერსიტეტის სახელით, მისი ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ადამიანური რესურსის გამოყენებით განეხორციელებინათ კვლევა.

ამ ტიპის ხელშეკრულების შეთავაზება მოხდა უნივერსიტეტის ექვსი ინსტიტუტისთვის: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, სოციოლოგიისა და დემოგრაფიის ინსტიტუტი, ზოოლოგიის ინსტიტუტი, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტი, სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი და დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ოთხი ინსტიტუტის: პოლიტოლოგიის, სოციოლოგიისა და დემოგრაფიის, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მეცნიერებათა და ზოოლოგიის ინსტიტუტების მკვლევარებმა, გარდა ერთეული გამონაკლისისა, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას და ამგვარად დათანხმდნენ ახალ შრომით პირობებში საქმიანობას, ხოლო ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის ინსტიტუტების თანამშრომლებმა არ ისურვეს ახალი შრომითი ურთიერთობების პირობებში უნივერსიტეტში საქმიანობა, რის გამოც გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან. გარდა ამისა, ფინანსური კრიზისის დასაძლევად შრომითი პირობების შეცვლა საჭირო გახდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული-დამხმარე პერსონალისთვისაც. აღნიშნული ცვლილებები ძირითად შემთხვევაში ატარებდა დროებით ხასიათს და ეხებოდა შრომის ანაზღაურების ცვლილებას. ადამიანური რესურსების სამსახურში მომზდდა აღნიშნული ცვლილებების მარეგულირებელი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები და ასევე შევიდა ცვლილებები თანამშრომელთა ხელშეკრულებებში, რათა ორმხრივად გამოხატულიყო ცვლილებების პირობებში საქმიანობის ნება.

ადამიანური რესურსების სამქიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობის პროცესის მართვა. 2011 წლის იანვარში, როგორც კი გამოვლენილ იქნა ტენდერში გამარჯვებული სადაზღვევო კომპანია, ადამიანური რესურსების სამსახურის მიერ მაქსიმალურად მცირე დროში მოხდა თანამშრომელთათვის დაზღვევის პირობების გაცნობა და შესაძლო, სხვადასხვა ფასიანი სადაზღვევო ბარათების შეთავაზება. შედეგად, უნივერსიტეტმა დააზღვია 800-მდე თანამშრომელი და თანამშრომლის ოჯახის წევრი. ამასთან, ადამიანური რესურსების სამსახური ასრულებდა უნივერსიტეტის მხრიდან სადაზღვევო კომპანიასთან კომუნიკატორის ფუნქციას .

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის ბოლოს ხელშეკრულების ვადა უმთავრდება უნივერსიტეტის შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დასაქმებული პერსონალის უმრავლესობას, ისევე როგორც ხელშეკრულებით მოწვეულთა დიდ ნაწილს. ადამიანური რესურსების სამსახურის მიერ წინასწარ იქნა ორგანიზებული ამ ინფორმაციის მიწოდება თანამშრომელთათვის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის და უკვე დაიწყო ხელახალი ვადით თანამშრომელთა დაქირავების პროცესი. ამასთან, წლის განმავლობაში შეიცვალა და დაიხვეწა თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, იურიდიულ სამსახურთან თანამშრომლობით შეიცვალა შრომითი ხელშეკრულების ფორმა და შინაარსი, რომელიც უფრო დაწვრილებით და ფართოდ აცნობს დაქირავებულს საკუთარ და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური მიმართულებების მუდმივი განვითარების პროცესის გამო, 2011 წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგი. მას დაემატა საშტატო ერთეულები და გამოცხადდა დაახლოებით 17-მდე კონკურსი აკადემიურ თანამდებობებზე.

გამოცხადდა კონკურსები სხვადასხვა სამსახურების დამხმარე პერსონალის ვაკანტურ თანამდებობებზე. ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის, ენების ცენტრის დამხმარე პერსონალისათვის, სტუდენტურ სერვის-ცენტრში სტუდენტთა დასაქმებისთვის და სხვ. პოზიციის თავისებურების მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ან თვითონ უზრუნველყოფდა კონკურსის პირობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შეფასების მეთოდების დადგენას, ან უზრუნველყოფდა შესაბამისი კომისიების შექმნას და მონაწილეობდა კონკურსის ორგანიზებაში. კონკურსების შედეგად შერჩეულ იქნა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები.

2011 წლის განმავლობაში ადამიანური რესურსების სამსახური ჩართული იყო უნივერსიტეტში მიმდინარე აკრედიტაციის და ავტორიზაციის პროცესებში. განახლდა სხვადასხვა აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ დაცული პერსონალური ინფორმაცია, მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გამოქვეყნებული შრომების სია.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია თანამშრომელთა ბაზების წარმოება. 2011 წელს ხორციელდებოდა აკრედიტაციის ერთიანი ბაზის მონაცემების მუდმივი განახლება და წარმოება, ასევე ადამიანური რესურსების სამსახური უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის თანამშრომლების, მიმდინარე კონკურსებისა და ვაკანსიების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და სხვა მსგავსი სფეროების შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას.

ყოველწლიურად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ატარებს ორგანიზაციულ კვლევას ადმინისტრაციის საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად.

2011 წლის იანვარში დასრულდა წლის განმავლობაში ადმინისტრაციის საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებელი კვლევა. 2011 წლის სექტემბერში კი კვლევების განყოფილებასთან თანამშრომლობით ჩატარდა უნივერსიტეტის სასაბუღალტრო - "უნიფუდის" მომსახურებით კმაყოფილების კვლევა.

გარდა ყველა ზემოთ აღნიშნული საქმიანობისა, ადამიანური რესურსების სამსახურს წლის განმავლობაში შესასრულებლად დაეწერა დაახლოებით 4000 წერილი, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფილ იქნა მნიშვნელოვანში შეფერხებების გარეშე.

- **იურიდიული სამსახური**

იურიდიულმა სამსახურმა 2011 წელს უნივერსიტეტის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის კუთხით განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

I. დარეგისტრირდა სარგებლობის უფლებით უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მისამართი: 5

უძრავი ქონება

1. ქ. თბილისი, გიორგი წერეთლის №3
2. ახმეტის მუნიციპალიტეტის, კასრისწყალი 11032,00 კვ.მ
3. ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ბაკურიანი, ბაკურიანის ბოტანიკური ბაღი;
4. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი როდიონოვკა (ფარავნის ტბის მიმდებარე ტერიტორია);
5. ქ. თბილისი, ქ. ბოტანიკური 1 (დაკორექტირდა ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის ნაწილი)

II. უნივერსიტეტის მიერ საკუთარი ხარჯებით სამეცნიერო კვლევითი მიზნებისათვის შეძენილი იქნა და გაფორმდა შესყიდვის ხელშეკრულება შემდეგ უძრავი ქონებაზე:

1. ქ. თბილისში სოფელ დილომში მდებარე 400 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
2. 1. თბილისში, სოფელ დილომში მდებარე 1600 კვ.მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

III. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური ახდენს უნივერსიტეტის მიერ დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის სამართლებრივ უზრუნველყოფას. აღნიშნულის ფარგლებში 2011 წლის განმავლობაში გაფორმდა 193 მოკლევადიანი მომსახურების ხელშეკრულება სხვადასხვა ორგანიზაციასთან.

IV. ქონების გაქირავების მიზნით ილიას სახლმწიფო უნივერსიტეტმა წარმომადგენლობითი საბჭოს, განათლებისა და მეცნიერების და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების თანხმობის საფუძველზე, მთელი წლის მანძილზე გამოაცხადა 3 კონკურსი, რომლის საფუძველზე გაფორმდა 2 გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულება.

V. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის მონაწილეობით მიმდინარეობდა შემდეგი სასამართლო დავები:

ადმინისტრაციული საქმეები:

1) № 3/805-11 – მოსარჩელები: შოთა ბუაძე, ჯუანშერ ზალდასტანიშვილი, გიული კახიძე, ჯემალ ძაგანია, ლუბა ბიბილეიშვილი, გურამ რატიშვილი ემერიტუსის წოდების მინიჭება. საქალაქო და სააპელაციო სასამართლოში მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, მათი საკასაციო საჩივრის დასაშვებობა იხილება უზენაეს სასამართლოში.

2) № 3/1920-11 – მოსარჩელე: მარია ბერტოლაზო ვალდებულების შესრულება, ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. მოსარჩელეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა ადმინისტრაციულ აქტის გამოცემის ნაწილში, რაც აპელაციამ ძალაში დატოვა. ვალდებულების შესრულების ნაწილში საქმე ადმინისტრაციული წარმოებით შეწყდა.

მოსარჩელე:

მარია ბერტოლაზო

3) № 3/812-11 – მოსარჩელები: ანა კვარაცხელია, ნიკოლოზ ლარინი, ნაზი აბულაძე და სხვები..

ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ მოსარჩელეთა მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა, საქმე წარმოებით შეწყდა.

4) № 3/4184-11 – ანა კვარაცხელია, ოთარ კვარაცხელია საცხოვრებელი ფართის გამოყოფაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. საქმეზე წარდგენილია უნივერსიტეტის შესაგებელი, სხდომა არ არის ჩანიშნული ამ ეტაპზე.

სამოქალაქო საქმეები:

1) №2/10073-11. – შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა მოსარჩელები:

ომარ კურტანიძე, მარიამ ნიკოლაიშვილი, ლორანდი სიგუა. მოსარჩელეთა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. შესაძლებელია გადაწყვეტილება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.

2) №2/7042-11 – შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა მოსარჩელე: კონსტანტინე ფიცხელაური. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

3) 2011 წელს დასრულდა უნივერსიტეტის სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე სამოქალაქო დავა - შპს “ბარაქას” მიმართ. საქმეზე საბოლოო განჩინება გამოტანილია საქმე აღსრულებისათვის გადაცემული აქვს აღსრულების ბიუროს.

VI. 2011 წელს განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებები და უმაღლესი განათლების შესახებ კანონიდან გამომდინარე, კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა აუცილებელი გახადა განხორციელებულიყო წესდების ცვლილება;

VII. 2011 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი რომლის დამოუკიდებელი სტატუსის ამოქმედება დაიწყება 2012 წლიდან;

2011 წელს აკადემიური, წარმომადგენლობითი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების თანხმობების საფუძველზე განხორციელდა უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ლიკვიდაცია;

2011 წლის განმავლობაში ჩატარდა 12 წარმომადგენლობითი საბჭო და 11 აკადემიური საბჭო, საბჭოს სხდომების სამართლებრივ ადმინისტრირებაში აქტიურად ჩართული იყო იურიდიული სამსახური.

2011 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით უნივერსიტეტში შემოვიდა 17 განაცხადი, შემოსული განაცხადების საფუძველზე დაკმაყოფილდა ყველა განაცხადი.

2011 წლის განმავლობაში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა რექტორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების პროექტები სტუდენტურ და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მთელი წლის განმავლობაში მომზადდა და დამუშავდა სხვადასხვა სახის კორესპონდენცია, როგორც შიდა სტრუქტურული ერთეულებისათვის ასევე სხვადასხვა დაინტერესებული პირის სახლზე.

- **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

2011 წლის მანძილზე უნივერსიტეტის **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური** მუშაობდა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით:

- აკადემიური და პროფესიული პროგრამები;
- დიპლომები და კვალიფიკაციები;
- კვლევები;
- საერთაშორისო ბაზები და რეცენზიები.
- **აკადემიური და პროფესიული პროგრამები**

2011 წლის თებერვალში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა განაცხადი **პროფესიული პროგრამების დამატების და მათი ავტორიზაციის შესახებ**. განაცხადი შეიცავდა თვითშეფასების ანგარიშს ("ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 2010 წლის თვითშეფასების ანგარიში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში") და მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტთან და მის სასწავლო ცენტრებთან (სატელევიზიო სასწავლო ცენტრი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრი, თეატრალური ცენტრი) ერთად შემუშავებულ 18 ახალ პროფესიულ პროგრამას. განაცხადის განხილვის შედეგად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიპოვა უფლება, განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რის შემდეგაც განაცხადში მითითებული პროგრამები გადაიგზავნა გამოცდების ეროვნულ ცენტრში მათზე მიღების გამოცხადების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოამზადა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა **განაცხადი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ**. განაცხადი შეიცავდა ორ ძირითად დოკუმენტს ("უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი", "პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარი"), რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სამსახურებთან ერთად. ამასთან, ავტორიზაციის განაცხადი მოიცავდა უნივერსიტეტში არსებულ ყველა აკადემიურ და პროფესიულ/უმაღლეს პროფესიულ პროგრამას. კერძოდ, წარდგენილი იყოს 213 აკადემიური პროგრამა, 21 უმაღლესი პროფესიული პროგრამა და 24 პროფესიული პროგრამა. აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტთან ერთად მუშაობდა მოქმედი პროგრამების განახლებაზე და მათ დახვეწაზე. შედეგად, ავტორიზაციის განაცხადში წარდგენილი იყო განახლებული 20 საბაკალავრო, 24 სამაგისტრო და 8 სადოქტორო პროგრამა. ამასთან, წარდგენილი პროგრამების ფარგლებში ჩამოყალიბდა რამოდენიმე ახალი კვალიფიკაცია. ავტორიზაციის განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის და შემდგომი ავტორიზაციის საბჭოს განხილვის შედეგად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ხელახლა მოიპოვა უნივერსიტეტის სტატუსი ხუთი წლით (ავტორიზაციის საბჭოს ოქმი#12, 21/07/2011), ხოლო ახალი კვალიფიკაციები კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოში იქნა შეტანილი.

2011 წლის აგვისტოში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან ერთად განაახლა ყველა მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების). აღნიშნული პროგრამები დამტკიცდა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე და წარდგენილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მათი **აკრედიტაციის მიზნით**. პროგრამების პირველი პაკეტი გაიგზავნა აგვისტოში, ხოლო მეორე - ოქტომბერში. 2011 წლის

ავგისტოდან ამავე წლის ნოემბრის ჩათვლით უნივერსიტეტში განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტები და შემოწმდა ყველა აკადემიური პროგრამა. თითოეული პროგრამის შესახებ დასკვნები წარედგინა განათლების ხარისხი განვითარების ეროვნულ ცენტრს და აკრედიტაციის საბჭოს. აკრედიტაციის ვიზიტების შედეგად და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის ყველა მიმდინარე აკადემიურ პროგრამას მიენიჭა აკრედიტებული პროგრამის სტატუსი ხუთი წლის ვადით.

აღსანიშნავია, რომ აკადემიურ პროგრამებთან ერთად განახლდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტანდარტების დოკუმენტები, შემუშავდა მასწავლების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და სერტიფიკატის გაცემის წესი. ასევე, შემუშავდა სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის სარეკომენდაციო ფორმა, რომელიც შემდგომში უნდა იყოს ჩართული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის სახელმძღვანელოში.

• დიპლომები და კვალიფიკაციები

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 126/ნ ბრძანებისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, უმაღლესი განათლების დიპლომების ფორმებში შეტანილი იქნა შინაარსობრივი და ფორმალური ცვლილებები. შემუშავდა და დასამტკიცებლად მომზადდა პროფესიული დიპლომის ფორმა. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სახელზე გასაცემი უმაღლესი განათლებისა და პროფესიული დიპლომების ფორმები შეთანხმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. შემუშავდა სპეციალური საინფორმაციო ფორმები დიპლომებისა და დიპლომის დუბლიკატების შევსების მიზნით წარმოსადგენი ინფორმაციისათვის.

გაიმართა კონსულტაციები დიპლომის დანართის შევსებასთან დაკავშირებით, მომზადდა რეკომენდაციები გარე და შიდა მობილობის დროს პროგრამული შესაბამისობების დადგენის თაობაზე.

• კვლევები

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაასრულა შემდეგი კვლევითი პროექტები:

- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სერვისის შეფასება;
- ✓ ფაკულტეტის თვითშეფასების მექანიზმისა და ინდიკატორების შემუშავება;
- ✓ სპორტის ფაკულტეტისთვის ხარისხის შეფასების მექანიზმისა და საბაზო ინსტრუმენტების შექმნა (პედაგოგთა მონიტორინგი, სტუდენტების კმაყოფილების კვლევა);
- ✓ 2010 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების ანალიზი;
- ✓ სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის დატვირთვის ანალიზი (2010-2011 სასწავლო წელი);
- ✓ 2011 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდაზე კონკურსის ანალიზი - შედარება 2009 და 2010 წლების მონაცემებთან;
- ✓ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მექანიზმისა და ინსტრუმენტის შექმნა;
- ✓ პროგრამული შეფასებისთვის სტუდენტთა გამოკითხვის მექანიზმისა და ინსტრუმენტების შექმნა (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო დონეები);
- ✓ დამსაქმებელთა გამოკითხვის მექანიზმისა და ინსტრუმენტის შექმნა;
- ✓ ზოგადი მოდულის ორი კურსის შეფასება (შესავალი თანამედროვე აზროვნებაში და პრეზენტაციის, კომუნიკაციისა და დისკუსიის ტექნიკები);
- ✓ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სტატიების ბაზის შექმნა (2006-2011 წლები);
- ✓ ბაკალავრიატის პირველი წლის სტუდენტების სოციალური პორტრეტი და ღირებულებები (2010 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი);
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობადობა და რეიტინგი;
- ✓ ილიაუნის ბაკალავრიატის პირველი გამოშვების დასაქმების სტატისტიკა (2010 წლის მონაცემებით);

✓ სპორტის ფაკულტეტისთვის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების დახვეწა (პედაგოგთა მონიტორინგი);

მიმდინარე კვლევებია:

✓ 2011 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების ანალიზი;

✓ სასწავლო პროგრამების შესაფასებელი კითხვარების შექმნა - (ბაკალავრიატის მეორე კურსის სტუდენტები, მაგისტრატურის ორივე კურსის სტუდენტები და მაგისტრატურის კურსდამთავრებულები).

• **საერთაშორისო ბაზები და რეცენზიები**

2011 წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დახმარებას უწევდა სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს პუბლიკაციების გამოქვეყნების მიზნით საერთაშორისო რეფერირებადი და იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალების მოძიებაში;

ასევე, აკეთებდა დასკვნებს დოქტორანტების მიერ გამოქვეყნებული სტატიების შესაბამისობაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების მოთხოვნებთან, ჟურნალების საერთაშორისო რეფერირებადობისა და მათი იმპაქტ ფაქტორის გათვალისწინებით.

ამ პერიოდში სარეცენზიოდ გაიგზავნა ერთი მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო, რომლებზეც მიღებულ იქნა დადებითი რეცენზიები. ესენია:

• ქ. დავითაია „ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მონაწილეობა პერფორირებული რქოვანას შეხორცებაში“ ;

• ქ. გოგილაშვილი, ს. სამხარაძე „ბაზისური და კლინიკური ენდოდონტია“.

- **განვითარებისა და საგარეო ურთიერთობების სამსახური**

2011 წლის განმავლობაში **განვითარებისა და საგარეო ურთიერთობების სამსახურის** მიერ გაწეული სამუშაო მნიშვნელოვანი იყო როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გრანტების მიმართულებით.

1. ადგილობრივი გრანტები -რუსთაველის ფონდი

- ✓ პროფესორების დახმარება/კუნსულტაცია საკონკურსო განაცხადის მომზადებაში **(დანართი#1)**;
- ✓ მაქს პლანკის ინსტიტუტთან და რუსთაველი ფონდთან თანამშრომლობით მომზადდა საგრანტო პროექტი „თბილისის მეტაბოლური გენეტიკის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და მეცნიერული განვითარება მაქს პლანკის საზოგადოებასთან თანამშრომლობით“ (კოორდინატორი თ. კურცხალია). პროექტი დაფინანსდა, მაგრამ პოლო ეტაპზე რექტორის გადაწყვეტილებით ილიას უნივერსიტეტმა უარი თქვა ამ გრანტზე.

2. საერთაშორისო გრანტები:

- **ერაზმუს მუნდუსი:**

პირველი აქტივობა:

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების -ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა ახალი სამაგისტრო პროგრამის "რუსეთის, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სწავლების" ასოცირებული პარტნიორი. ამ პროექტის ისტორიაში საქართველო პირველად გახდა მონაწილე. პროექტის კოორდინატორთან კონსულტაციების შედეგად უკვე დაგეგმილია მომავალ წელს ილიას უნივერსიტეტის სრულ პარტნიორად ჩართვა.

მეორე აქტივობა:

პროგრამის მეორე აქტივობა მოიცავს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობას ევროპული და არაევროპული ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროგრამის ფარგლებში სრულად ფინანსდება მობილობა (ერთი ან მეტი სემესტრის გატარება) ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისათვის, ასევე უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის (ტრენინგი, სწავლება, კვლევა) პროგრამის მონაწილე უნივერსიტეტებში ევროპის მასშტაბით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის 2011 წელს დაფინანსდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გიოტინგენის უნივერსიტეტთან (გერმანია) თანამშრომლობით შექმნილი პროექტი.

- **ტემპუსი**

- ✓ 2011 წლის ტემპუსის საგრანტო კონკურსზე ილიას უნივერსიტეტის მონაწილეობით **წარდგენილი იყო ტემპუსის 12 პროექტი**, აქედან კონსკურსის ბოლო ეტაპზე მოხვდა სამი და დაფინანსდა ერთი **(დანართი #2)**;
- ✓ გრძელდება მუშაობა ტემპუსის მიმდინარე 6 პროექტზე. 2012 წლიდან ამ პროექტების ადმინისტრირების კუთხით დაგეგმილია ჩვენი სამსახურის როლის მნიშვნელოვნად გაზრდა;

- ✓ პროფესორებისთვის მომზადდა ტემპუსის პროექტის მომზადების სახელმძღვანელო.

- **მე-7 ჩარჩო პროგრამა**

პროფესორების დახმარება/კონსულტაცია ევროკომისიის კვლევებისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამის განაცხადების მომზადებაში:

- ✓ ეკოლოგიის ინსტიტუტის მიერ მომზადებული პროექტი (კოორდინატორი დ.თარხნიშვილი);
- ✓ ასრტოფიზიკის ობსერვატორიის მიერ მომზადებული პროექტი - დაფინანსდა;
- ✓ მიმდინარეობს განაცხადის მომზადება გლაზგოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. ილისა უნივერსიტეტიდან სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობის გ. ნოდია.

- **ჟან მონე**

- ✓ მომზადდა განაცხადი ჟან მონეს კონფერენციის საგრანტო კონკურსისთვის - რომლის ფარგლებშიც კავშირი დამყარდა წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან ამ მიმართულებით;
- ✓ ევროინტეგრაციის სამინისტროსთან თანამშრომლობით იგეგმება გარკვეული თანხების მოზიდვა ილიას უნივერსიტეტში ევროპული მიმართულების გასაძლიერებლად. მომზადდა მოკლე საპროექტო განაცხადი, რომელიც წარედგინა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს.

- **შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამა**

აღნიშნულ პროგრამაში წელს წარვადგინეთ სამი საპროექტო განაცხადი (დანართი #3);

- **შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროგრამა SCOPES**

პროფესორების დახმარება/კონსულტაცია საგრანტო განაცხადების მომზადებაში. კონკურსზე წარდგენილი სამი განაცხადიდან ერთი დაფინანსდა (კოორდინატორი ნ.დარჩია)

- **სოროსის ფონდის აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა**

მომზადდა საპროექტო განაცხადი ჟურნალისტიკის, ევროპათმცოდნეობის, ეკოლოგიის და ხელოვნების მიმართულებით.

საგარეო ურთიერთობებისა და ფინანსების მოზიდვის მიმართულებით აღნიშნულმა სამსახურმა ჩაატარა შემდეგი აქტივობები:

- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სხვადასხვა საერთაშორისო ქსელებში გაწვევიანების მიზნით, მომზადდა ოფიციალური წერილები, რომელიც გაიგზავნა შესაბამისი ქსელების წარმომადგენელობებში;
- ✓ ხელოვნების კვლევის ცენტრთან რეგულარული თანამშრომლობა საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავებისა და საერთაშორისო მემორანდუმების მომზადების მიმართულებით;
- ✓ საქართველოს რკინიგზის თხოვნით ილიას უნივერსიტეტმა მოამზადა შეთავაზება, საინჟინრო მიმართულებით ახალი სამაგისტრო პროგრამის განვითარების, რომელიც

- ევროპულ უნივერსიტეტთან ერთობლივი ხარისხის მინიჭებას ითვალისწინებს. ამ მიზნით მოლაპარაკებები მიმდინარეობს რამდენიმე წამყვან ევროპულ უნივერსიტეტთან;
- ✓ მიმდინარე საქმეები საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებთან. ეს გულისხმობს როგორც ერთის მხრივ საკმაოდ გრძელვადიან პროექტებს, როგორც არის პოლონეთის დღეების ფარგლებში ღონისძიებების ორგანიზება ილიას უნივერსიტეტში, ისე შედარებით პატარა საქმეებს, მაგალითად საჯარო ლექციის ორგანიზება;
 - ✓ "საბჭოთა კავშირის 20 წლისთავს მიძღვნილი კონფერენციის" ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება, კონფერენციის სტუმრებთან მოსამზადებელ პერიოდში მიმოწერის წარმოება, სტუმრების საქართველოში ჩამოსვლისა და გამგზავრების საკითხების მოგვარება და სხვა.
 - ✓ ილიას ფონდი -
 - რექტორთან ერთად უნივერსიტეტის საინფორმაციო-მარკეტინგული მასალის მომზადება. პოტენციური დონორებისთვის პროექტების მომზადება.
 - ✓ საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (საჯარო ლექციები, შეხვედრები, ბიუჯეტი, რეპორტინგი, კომუნიკაცია დონორთან)
 - ✓ სამეცნიერო პიკნიკი- პოლონეთში არსებული გამოცდილების გადმოტანა და პოლონეთის მხარესთან და თბილისის მერიასთან თანამშრომლობით პირველი სამეცნიერო პიკნიკის ორგანიზება თბილისში 2011 წლის ივნისში.

ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების საგრანტო კონკურსში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წარდგენილი პროექტები

გამოყენებითი კვლევები

1. თბილისის გამწვანების ლანდშაფტური-ესთეტიკური შეფასება, მცენარეთა ასორტიმენტის ანალიზი და დეკორატიული სახეობებით გამდიდრება

AR/220/10-120/11

2. თანამედროვე ქართული ენის საანალიზო და სამოტივაციო კომპიუტერული პროგრამების შექმნა.

AR/320/4-105/11

3. მულტიფუნქციური მონაცემთა აციფერისა და დამუშავების სისტემა გარემოს კომპლექსური მონიტორინგისათვის

AR/266/9-240/11

4. „ოქროს და სხვა მადნიანი ელემენტების ახალი პერსპექტიული უბნების გამოვლენა კავკასიონის "კრისტალური სუბსტრატის" სვანეთის სეგმენტში

AR/163/9-152/11

5. საქართველოს ფიქალის გაზის ფორმაციების რუკა

AR/371/3-171/11

ფუნდამენტური კვლევები

1. სწავლის შედეგები და დანახარჯი-ეფექტურობა საქართველოს საჯარო სკოლებში

FR/748/2-210/11

2. კოსმოსური ფაქტორები და მიწისძვრები

FR/818/6-310/11

3. აღმოსავლეთ საქართველოში მოზარდი დათვის თხილის (*Corylus iberica*) ინვენტარიზაცია და კონსერვაციის მეთოდების შემუშავება

FR/741/9-280/11

4. საქართველოს არიდულ და სემიარიდულ რეგიონებში იშვიათი, ენდემური და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამოვლენა და მათი მდგომარეობის შესწავლა ანთროპოგენური ზეგავლენისა და გაუდაბნოების პროცესებთან კავშირში

FR/664/7-120/11

5. მზის სრული და სპექტრული გამოსხივების ვარიაციების კავშირი მზის აქტივობის ციკლურ ცვლილებებთან

FR/835/6-310/11

6. ჰორიზონტალურ წანაცვლებით დინებაში განვითარებადი ატმოსფერული ტალღების გავლენით

იონოსფეროში არარეგულარული სტრუქტურების გაჩენის სამგანზომილებიანი თეორიული მოდელი

FR/802/9-190/11

7. ზედა ატმოსფეროს პლანეტარული მასშტაბის დინამიური პროცესების გავლენა საშუალო განედების წითელი 630.0 ნმ ხაზის ინტენსივობის ღამის სვლაზე

FR/822/9-190/11

8. ადრეული სპექტრული ტიპის შერჩეული მასიური მჭიდრო ორჯერადი სისტემების გამოკვლევა კომპონენტთა ფიზიკურ თავისებურებათა გამოვლენის მიზნით

FR/257/6-300/11

9. FR628/6-290/11 მცირე მასის მქონე ვარსკვლავების გამოტყორცნა ტრაპეციის ტიპის ჯერადი სისტემების მიერ

10. ეპილეპტოგენეზის გამომწვევი ნივთიერებების გავლენა ჰიპოკამპის ცოცხალი ნეირონის ნანოაქრიტექტონიკაზე, ნანომექანიკაზე და GABA რეცეპტორების აღნაგობაზე: ატომურ-ძალოვან-მიკროსკოპული კვლევა.

FR/224/7-290/11

11. მოზარდებში სტრესის, ძილისა და მენტალური პრობლემების ურთიერქმედების ხანგრძლივი შესწავლა: ტვინის მომწიფების პროცესზე სტრესის უარყოფითი ზეგავლენის ახალი სტრატეგიების ძიება

FR/448/7-274/11

12. დრეკადობისა და თერმოდრეკადობის თეორიების არაკლასიკური ამოცანების გამოკვლევა მიკრო და ნანოსტრუქტურების მქონე სხეულებისათვის

FR/521/5-109/11

13. ყველა ელემენტარული ძალის რეალისტური გაერთიანების ძიება გაფართოებულ დიდი გაერთიანების თეორიებში

FR/735/6-200/11

14. მზის ატმოსფეროს სხვადასხვა წარმონაქმნის დიფერენციალური ბრუნვისმახასიათებელთა დროითი ვარიაციები

FR/416/6-310/11

15. მიო-ინოზიტოლო და ეპილეფტოგენეზის პრევენცია.

FR/61/7-222/11

16. გრავიტაციის მოდიფიცირებული თეორიების შეზღუდვა კოსმოლოგიური დაკვირვებების მეშვეობით

FR/624/6-350/11

17. ტრაპეციის ტიპის ვარსკვლავთ ჯერადი სისტემების მდგრადობა და დინამიკური ევოლუცია

FR/625/6-300/11

18. დედამიწასთან მოახლოებადი ასტეროიდების შესწავლა ფოტომეტრიული და ასტრომეტრიული მეთოდებით

FR/395/6-300/11

19. „ექსტრემალური კლიმატური მოვლენების სამომავლო სცენარის აგება და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შეფასება საქართველოსათვის“.

FR/559/9-110/11

20. ჯავახეთის ტბების გეოეკოლოგიური პირობების ანალიზი

FR/300/9-240/11

21. "ძილის პოსტნატალური განვითარება: ღვიძილის მარეგულირებელი სისტემების როლი ძილის ჰომეოსტაზის მომწიფებაში".

FR/287/7-274/11

22. კოლხეთის დაბლობის რეკოლონიზაცია მგლის (*Canis lupus*) მიერ: ადამიანი-მგლის ურთიერთობების განვითარების ახალი ეტაპი

FR/389/7-110/11

23. თანამედროვე ქართული ენის კორპუსი

HR/673/4-105/11

24. დასავლური განათლების სისტემის განვითარების ეტაპები საქართველოში (XIX-XX სს.)

FR/585/2-210/11

25. "სეისმური კოდას დაცხრომისა და ლოკალური მაგნიტუდის შესწავლა საქართველოში.

FR/79/9-140/11

26. ადამიანი და გარემო. ადამიანთა და ცხოველთა სამყაროს ადაპტაციები გარემოსა და კლიმატურ ცვლილებებთან მიმართებაში დასავლეთ საქართველოს მღვიმეების კომპლექსური კვლევის საფუძველზე (ძველი ქვის ხანიდან დღემდე)

FR/722/2-105/11

27. სიმსივნის მიტოქონდრიული სუპრესორები ონკოგენეზში.

FR/149/7-220/11

მონაწილეები:

28. სახეობათაწარმოქმნა კავკასიაში: ხვლიკების უჩვეულოდ მრავალფეროვანი გვარის (*Darevskia*) კომპლექსური კვლევა

FR/334/7-110/11

29. სამხრეთ კავკასიური ღორის ჯიშები: გენეტიკური გამოკვლევა და შენარჩუნების პროგრამა

FR/425/7-110/11

30. საქართველოს ეთნოგრაფია (ინტერნეტული მონაცემთა ბაზა)

FR/328/1-50/11

31. აეროდინამიკური ბგერის გენერაცია წანაცვლებით დინებებში: წყაროს იდენტიფიკაციისა და ვიზუალიზაციის ახალი მეთოდები

FR/644/6-110/11

32. კოსმოლოგიური მაგნეტიზმი: წარმოშობა, ევოლუცია და დაკვირვებითი გამოვლინებები

FR/526/6-350/11

33. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მინის ბიბლიოთეკის გაციფროვნება.

FR/700/6-290/11

34. მთვარის სპექტროპოლარიმეტრული რუკების შედგენა და მთვარის ზედაპირზე H, O და H₂O ნივთიერებათა განლაგების სავარაუდო რაიონების დადგენა

FR/330/6-300/11

35. მაგნიტოჰიდროდინამიკური ტურბულენტობის მოდელების ტესტირება მზის ქარის დაკვირვების მეშვეობით

FR/274/6-310/11

36. გრავიტაციული ტალღების გენერაცია კონვექციური ტურბულენტობის მიერ

FR/523/9-190/11

37. “შერჩეული ბლაზარების ქცევა სპექტრის რენტგენულ უბანში”

FR/467/6-290/11

38. საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის პროექტი :”ქვემო ქართლის სამკურნალო მცენარეების ბიომრავალფეროვნების ფლორისტულ-სისტემატიკური და ეკოლოგიური მონიტორინგი, მათი დაცვისა და აღწარმოების მეცნიერული საფუძვლები.

FR/540/9-280/11

39. თბილისის შემოგარენის დენდროფლორის ეკოლოგიური მონიტორინგი, ანალიზი და დინამიკის პროგნოზი.

FR/197/9-240/11

40. თავის ტვინის ინტეგრაციული ფუნქციების ფორმირება ნორმასა და სოციალური იზოლაციის პირობებში, დარღვევათა გზების ძიებით.

FR/764/7-270/11

41. კავკასიის სეისმური საფრთხის შეფასება

FR/759/9-140/11

42. ბუნებრივი კატასტროფები სამხრეთ კავკასიაში: ისტორიული მიწისძვრები და თანამდევი ბუნებრივი მოვლენები, უბველესი დროიდან XIX საუკუნემდე
FR/355/9-140/11

პრიორიტეტი	პროექტის მოკლე აღწერა	პროექტის სტატუსი
JP-Curricular Reform	<p>უკრაინისა და საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ინოვაციური სტრატეგია ახალი ენერგეტიკის კანონისთვის: განათლების, კვლევისა და პრაქტიკის ურთიერთდაკავშირება. პროექტის მიზანია ენერგეტიკასა და გარემოს დაცვის სამართალში კურიკულუმის შემუშავება. ენერგეტიკის სექტორში სამართლებრივი ურთიერთობების შესწავლისადმი ინტეგრირებული ინტერდისციპლინარული მიდგომის შემუშავება.</p>	<p>პროექტი გაიგზავნა, მიენიჭა ნომერი 516911-TEMPUS-1-2011-1-DE-TEMPUS-JPCR</p>
University Management and Student Services	<p>Student Support and Deveelopment Services პროექტის მიზანია სტუდენტური სერვის ცენტრის დაარსება ილიას სახ. უნივერსიტეტსა და პარტნიორ უნივერსიტეტებში. ცენტრი მომსახურებას გაუწევს სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს 4 ძირითადი მიმართულებით: 1. სტუდენტთა აკადემიური კონსულტირების სამსახური, 2. სტუდენტური ცხოვრების ცენტრი, 3. პროფესიული გადამზადებისა და კარიერული წინსვლის ცენტრი, 4. კურსდამთავრებულთა სამსახური</p>	<p>reference number 517382-TEMPUS-1-2011-1-IT-TEMPUS-JPGR</p>
JP-Equal and transparent access to higher education	<p>The New Response Initiative for Access to Higher Education in NIS countries - .პროექტის მიზანია მიზნობრივ ქვეყნებში უნივერსიტეტები და სახელმწიფო ორგანიზაციები მოამზადოს იმისათვის, რომ უპასუხონ უმაღლესი განათლების სფეროში მოთხოვნასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. პროექტის ამოცანები გულისხმობს შემდეგს: 1.ინფორმირებული დიალოგის წარმოება: შედარებითი ანალიზი, კონფერენცია, სამუშაო შეხვედრები, 2. საპილოტე პროექტების განხორციელება (15,000-20,000 ევრო თითოეულ მონაწილე უნივერსიტეტს მათ მიერ შერჩეული ინტერვენციების განსახორციელებლად) , 3.რეკომენდაციებს უმაღლესი განათლების სფეროში მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შექმნილი დისბალანსის საპასუხოდ 4.ადმინისტრატორებისა და სამინისტროს თანამშრომლების გადამზადება: ტრეინინგები</p>	<p>reference number 516903-TEMPUS-1-2011-1-BE-TEMPUS-JPGR</p>

JP-Curricular Reform	Bachelor and Masters Programs in Architecture- ProArch"არქიტექტურის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა" მიზნად ისახავს საბაკალავრო და სამაგისტრო კურიკულუმის თანამედროვე სტანდარტებთან მისადაგებას და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას არქიტექტურის სწავლებაში.	reference number 516593-TEMPUS-1-2011-1-DE-TEMPUS-JPCR
JP-Curricular Reform	Introducing Soviet and Post-Soviet Studies in Post-Communist Countries- პროექტი ითვალისწინებს პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებში საბაკალავრო მოდულის, ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე სრული პროგრამის შემუშავებას საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კვლევებში.	reference number 517524-TEMPUS-1-2011-1-GE-TEMPUS-JPC
Governance Reform	Improving Autonomy of Ukrainian and Georgian Universitites towards EHEA- ავტონომიის ხარისხის გაძლიერება უკრაინულ და ქართულ უნივერსიტეტებში. პროექტის მიზანია თანამედროვე ავტონომიური მართვის პრინციპზე დაფუძნებული უნივერსიტეტების განვითარების ხელშეწყობა უკრაინასა და საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს ამ ორი ქვეყნის უნივერსიტეტების წარმატებულ ინტეგრირებას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.	reference number 517034-TEMPUS-1-2011-1-PL-TEMPUS-SMGR.
Curricular Reform	მასწავლებელთა ტრენინგის საერთაშორისო სტრატეგიული მოდელი მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნებაში Developing an International Strategic Model for Multicultural Education and Cultural Diversity Training of Teachers	reference number 516736-TEMPUS-1-2011-1-IL-TEMPUS-JPHES.
Knowledge Triangle- Education, Innovation, Research	პროექტის « Modernising Business Education in partner universities and strengthen Links with enterprises" მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების კურიკულუმის მოდერნიზებას და 2013 წლამდე დაინტერესებულ მხარეთა მუდმივი საკომუნიკაციო სისტემის შექმნა.	reference number 517164-TEMPUS-1-2011-1-SE-TEMPUS-JPHES

<p>Knowledge Triangle- Education, Innovation, Research</p>	<p>უნივერსიტეტსა და ბიზნეს სფეროს შორის თანამშრომლობის განვითარება განათლების, კვლევისა და ინოვაციის კუთხით. 1. GE და UA მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 2. თანამშრომლობის პროგრამის შექმნა 3. გარემოს შექმნა მეცნიერული ინფრასტრუქტურის (ინოვაციური იდეების) გასაზიარებლად 4. განათლების სისტემის ანალიზი საერთაშორისო კომერციული პირობების გათვალისწინებით 5. პარტნიორთა ქსელის შექმნა/მოდულიზაცია 6. პარტნიორთა ქსელის წევრებისათვის საკომუნიკაციო ინტერნეტ პორტალის შექმნა 7. დისტანციური სწავლებისათვის პირობების შექმნა. აქცენტი პროფესიული უწყვეტი განათლების კურსებზე 8. თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება თანამშრომლობის განვითარებისათვის</p>	<p>reference number 516940-TEMPUS-1-2011-1-CZ-TEMPUS-JPHES.</p>
<p>Curricular Reform</p>	<p>უმაღლესი განათლების მართვის პრაქტიკის განვითარება კურიკულუმის საფუძველზე. კონკრეტული ამოცანებია: უმაღლესი განათლების ლიდერთათვის ისეთი პირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ახალი სასწავლო ტექნოლოგიების, ხარისხის უზრუნველყოფის, სტუდენტთა შეფასების, კვლევის, პოლიტიკის შექმნის მექანიზმები და საგანმანათლებლო ცვლილებების დანერგვას.</p>	<p>reference number 516870-TEMPUS-1-2011-1-UK-TEMPUS-JPCR</p>
<p>Knowledge Triangle</p>	<p>პროექტი ეხება უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების თანამშრომლობას ცოდნის სამკუთხედის ფარგლებში და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას სემინარების და სასწავლო კურსების გზით. პროექტის საბოლოო შედეგად მოაზრებულია ბიზნესისა და კვლევითი სფეროს დაკავშირება.</p>	<p>reference number 517136-TEMPUS-1-2011-1-IT-TEMPUS-JPHES.</p>

JP-Curricular Reform

AWEM- წყლისა და გარემოს მენეჯმენტის კურიკულუმის განვითარება. პროექტის ამოცანაა პარტნიორ ქვეყნებში გარემოსდაცვითი კურიკულუმის ბოლონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა 2013. კონკრეტული ამოცანები გულისხმობს წყლისა და გარემოსდაცვით მენეჯმენტში არსებული სასწავლო პროგრამების ანალიზი, ახალი სასწავლო სტრატეგიების შემუშავება, პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტების პერსონალის გადამზადება და მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობა, მოსწავლეების მომზადება ახალი პროგრამის მიხედვით, ერაზმუს მუნდუსისა და ჟან მონეს საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბება, ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკების აღჭურვა

გაიგზავნა, მიენიჭა ნომერი 517388-TEMPUS-1-2011-1-NL-TEMPUS-JPCR

1. WASTENET (A Black Sea Network Promoting Natural Systems for the Integrated Water and Wastewater Management at Drainage Basin Scale).

WASTEnet პროექტი მიზნად ისახავს შექმნას რეგიონალური ქსელი, რომლის მიზანი იქნება ეკოლოგიურად სუფთა, მცირე ენერჯის გამოყენებით და ეკონომიკურად მომგებიანი გზებით განახორციელოს ჩამდინარე წყლების გაწმენდა. საქართველოდან ამ პროექტში მონაწილეობას მიიღებენ აჭარის გარემოს დაცვის სააგენტო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროექტის კოორდინატორი არის საბერძნეთი (*Democritus University of Thrace*). პროექტის დანარჩენი წევრი-ქვეყნები არიან მოლდოვეთი, რუმინეთი, უკრაინა, თურქეთი და სომხეთი.

საქართველოზე გამოყოფილი თანხა შეადგენს 63,000.00 ევროს, რას მიმართული იქნება ადგილზე კვლევის ჩატარებაზე (აქ იგულისხმება აჭარის რეგიონი. კვლევა ჩატარდება აჭარის გარემოს დაცვის სააგენტოს დახმარებით, რომელიც წარმოდგენილია პროექტში, როგორც ასოცირებული წევრი), ექსპერტების დაქირავებაზე, ქართულ ენაზე პროექტის მასალების თარგმნა-გამოქვეყნებაზე და ა.შ.

2. შავი ზღვის რეგიონის კულტურული იდენტობის გაძლიერება (ENHANCEMENT OF THE CULTURAL IDENTITY OF THE BLACK SEA AREA)

ამ პროექტის მიზანია წარმოაჩინოს შავი ზღვის აუზის ქვეყნების კულტურული პოტენციალი ერთობლივი კულტურული ღონისძიებების ორგანიზების გზით. ასევე, დაგეგმილია შეიქმნას კულტურული ცენტრები პროექტის პარტნიორ ქვეყნებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, პროექტში ჩაერთვება ხელოვნების კვლევის ინსტიტუტი. პროექტის კოორდინატორია საბერძნეთის ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია: "FILOPTOCHOS ADELFOFOTIS OF MEN OF THESSALONIKI".

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტზე გამოყოფილი თანხა შეადგენს 39, 403.00 ევროს. გამოცემას და სხვა აქტივობებს. საქართველოს გარდა, პროექტში ჩართულია თურქეთის, საბერძნეთისა და ბულგარეთის არასამთავრობო სახელოვნებო ორგანიზაციები.

პროექტის ხანგრძლივობა: 8 თვე

3. კულინარული ტურიზმი

ამ პროექტის მიზანია შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კულინარული ტურიზმის განვითარება. დაგეგმილია ახალი ტურისტული პროდუქციის შექმნა და ადგილობრივი გასტრონომიული ტრადიციის გაძლიერება. თითოეულ მონაწილე ქვეყანაში ჩატარდება კვლევა, რომლის შედეგადაც მოხდება იმ კულინარული ელემენტების გამოვლენა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტურიზმის განვითარებას. შემუშავდება ე.წ. "თემატური ტურისტული პაკეტები და მარშრუტები".

პროექტის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტზე გამოყოფილია 62, 505.00 ევრო. პროექტის დანარჩენი წევრი-ქვეყნებია ბულგარეთი, უკრაინა და თურქეთი.

პროექტის ხანგრძლივობა: 2 წელი.

- **ინოვაციური იდეების კომერციალიზაციის დეპარტამენტი**

2011 წლის განმავლობაში **ინოვაციური იდეების კომერციალიზაციის დეპარტამენტში** წარმატებით გრძელდებოდა მუშაობა პროექტზე **”ბიოდიზელი”**. ბიოდიზელი, როგორც ალტერნატიული, განახლებადი, ეკოლოგიურად სუფთა საწვავი, ერთ-ერთი პრიორიტეტული კვლევის მიმართულებაა უნივერსიტეტში და კერძოდ ინოვაციური იდეების კომერციალიზაციის დეპარტამენტში. გასულ წელს ჩატარებული სამეცნიერო საკვლევი სამუშაოების შედეგად მიღებულ იქნა ზუსტი აგრო-ეკონომიკური მონაცემები, რაც საშუალებას იძლევა დეტალურად დაიგეგმოს ბიოდიზელის კომერციული მასშტაბებით წარმოების პარამეტრები.

განსაკუთრებული ნიშნელობა ჰქონდა მცენარე რაპსის, როგორც ბიოდიზელის წარმოების ნედლეულის საცდელი-საწარმოო ნათესების კარგ შედეგებს კახეთის რეგიონში, კერძოდ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. მიღებული შედეგები სრულიად რეალურ საფუძველს იძლევა რომ საქართველოში დაიწყოს ალტერნატიული, განახლებადი ეკოლოგიურად სუფთა საწვავის - ბიოდიზელის მასშტაბური წარმოება.

გარდა ამისა პროექტი ”ბიოდიზელის” ფარგლებში შესწავლილ იქნა და პრაქტიკაში დაინერგა ბიოდიზელის მიღების გაუმჯობესებული ტექნოლოგიები და მცენარე რაპსის გადამუშავების ტექნოლოგიები. ამ მიზნით უნივერსიტეტის ბაზაზე დამონტაჟდა მცენარე რაპსის თესლის გადამამუშავებელი უნივერსალური პრესი, რომელიც ნედლეულს უდანაკარგოდ გადამამუშავებს, ანუ გადამამუშავების შედეგად მიიღება მცენარეული ზეთი, როგორც ბიოდიზელის საწარმოო ნედლეული და თანმხლები პროდუქტი - ცილებით მდიდარი კომბინირებული საკვები მეცხოველეობისათვის, ანუ კოპტონი.

2011 წელს მიღებული შედეგები იმდენად წარმატებული აღმოჩნდა რომ უნივერსიტეტმა გადაწყვიტა პროექტის მასშტაბის გაზრდა და ა.წ. შემოდგომაზე უკვე 100 ჰექტარი მიწა დამუშავდა და დაითესა მცენარე რაპსის საშემოდგომო კულტურა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

ამგვარად პროექტი ”ბიოდიზელის” განხორციელებით არა მარტო ახალი ინოვაციური საწვავი მიიღება, არამედ ასევე მიიღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რომელიც დღეისათვის დეფიციტია საქართველოში და იმპორტირდება. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ადგილები აგრარულ სექტორში და განვითარების ახალი იმპულსი მიეცა საქართველოს აგრობიზნესს.

უნივერსიტეტში მიმდინარე ამ პროექტის შესახებ, ბიოდიზელის როგორც ალტერნატიული, განახლებადი, ეკოლოგიურად სუფთა საწვავის და მცენარე რაპსის როგორც ბიოდიზელის ნედლეულის ბაზის შესახებ 2011 წელს გამოქვეყნდა ინოვაციური იდეების კომერციალიზაციის დეპარტამენტის უფროსის კახა ქარჩხაძის სტატია **”ალტერნატიული, განახლებადი, ეკო-მეგობრული საწვავი ბიოდიზელი”**. სტატიაში დეტალურადაა განხილული პროექტი **”ბიოდიზელი”** და მისი პერსპექტივები. (იხ. გაზეთი გაზეთი 24 საათი Weekend, 12 ივნისი, 2011 წ. და შესაბამისი ლინკი ინტერნეტში: <http://24saati.ge/index.php/category/society/science/2011-06-12/17657>

ალტერნატიული, განახლებადი ენერჯების სფერო კვლავაც პრიორიტეტულია ინოვაციური იდეების კომერციალიზაციის დეპარტამენტის კვლევებში. დეპარტამენტში 2011 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ახალი ტიპის ინოვაციურ ქარის გენერატორზე, რომლის პირობითი სახელია **”ვერტიკალურ ღერძიანი, სეგმენტური ქარის ძრავა”**.

შემუშავდა ძრავის მუშაობის პრინციპები და ინოვაციური ძრავის მუშაობის პრინციპის აღწერა, დამზადდა ნახაზი, ჩატარდა ცდები, რომლის შედეგებიც წინასწარი გამოთვლების საფუძველზე გვიჩვენებს, რომ **”ვერტიკალურ ღერძიანი სეგმენტური ქარის ძრავა”** 5-7 % ით უფრო ეფექტურია ბიდრე სხვა ნებისმიერი ქარის ძრავა. გარდა ამისა კონსტრუქციული თავისებურებების გამო ამ ინოვაციური ტიპის ქარის ძრავის აგება და ექსპლუატაცია ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

”ვერტიკალურ ღერძიანი სეგმენტური ქარის ძრავას” გამოყენების ფართო სპექტრი აქვს, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტროენერჯის მისაღებად, წყლის ტუმბოების ასამუშავებლად და სხვა ნებისმიერი სასრებლო სამუშაოს შესასრულებლად. ამჟამად მზადდება დოკუმენტაცია ”ვერტიკალურ ღერძიანი სეგმენტური ქარის ძრავის” პატენტის მისაღებად.

გარდა ამისა ინოვაციური იდეების კომერციალიზაციის დეპარტამენტის უფროსი კახა ქარჩხაძე მიწვეულ იქნა აშშ-ში ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტში, სადაც 2012 წლის ივნისში ჩატარდება ალტერნატიული ენერჯეტიკისა და ინოვაციებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება ჩვენს უნივერსიტეტში, კერძოდ ინოვაციური იდეების კომერციალიზაციის დეპარტამენტში მომზადებული ტექნოლოგიური სიახლეები და ინოვაციები - მათ შორის ” ვერტიკალურ ღერძიანი სეგმენტური ქარის ძრავა”, იგეგმება მისი საერთაშორისო სამეცნიერო და ინდუსტრიული წრეებისათვის წარდგენა.

ასევე აღნიშნულ დეპარტამენტში **დამუშავდა ალტერნატიული ირიგაციის პროექტი**, რომლის მთავარი იდეა მდგომარეობს ალტერნატიული ენერჯეტიკის გამოყენების საფუძველზე და ინოვაციური ტექნოლოგიის გამოყენებით საირიგაციო ქსელის შექმნა და ექსპლუატაცია.

ამ პროექტის მიხედვით ინოვაციური ტექნოლოგიის მეშვეობით, რომელიც რიგ შემთხვევებში ავტონომიურად მოქმედებენ, ხოლო საჭიროებისამებრ ალტერნატიულ ენერჯიას გამოიყენებენ, შესაძლებელია სარწყავი სისტემის მოწყობა მარავალ ათეულ კილომეტრზე და მისი ექსპლუატაცია ყოველგვარი ტრადიციული ენერჯის წყაროების (მაგალითად ცენტრალური ელექტრო ენერჯომომარაგება და სხვა) გარეშე.

ამ საირიგაციო სისტემის კიდევ ერთი უპირატესობა ისაა, რომ რადგან ის ავტონომიურია და არ საჭიროებს გარე ენერჯიას, შესაძლებელია მისი ქსელის განვითარება და დიფერენცირება და საბოლოო ჯამში ფართო მასშტაბის საირიგაციო მიწების დაფარვა.

გარდა ამისა ამ პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ალტერნატიული ავტონომიური მექანიკური წყალსაქაჩი ტუმბოები და სხვა ტექნიკური მოწყობილობები და მექანიზმები, რომლებიც საჭიროა საირიგაციო სისტემების მოსაწყობად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავტონომიური წყალსაქაჩი ტუმბო და მისი მთელი რიგი დადებითი თვისებები, რომლებიც უნიკალურია და ამ ტიპის მექანიზმის გამოყენებას ფართო პერსპექტივებს უქმნის. აღნიშნულ ტუმბოს, მისი ინოვაციური მექანიზმის წყალობით შუძლია წყალი გადაქაჩოს როგორც ჰორიზონტალური მიმართულებით ისე ვერტიკალურად, მაღლივი მიმართულებით და ამისთვის იყენებს მხოლოდ წყლის კინეტიკურ ენერჯიას. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი თვისება საშუალებას იძლევა წყლის საქაჩი სისტემები მოეწყოს პრაქტიკულად ნებისმიერ ადგილზე, სადაც წყლის დაწნევის (სიმაღლეთა სხვაობის) მინიმალური დონე მაინც არის. ეს ინოვაციაც წარდგენილ იქნება საერთაშორისო კონფერენციაზე აშშ-ში 2012 წლის ივნისში.

2011წელს ინოვაციური იდეების კომერციალიზაციის დეპარტამენტის უფროსმა კახა ქარჩხაძემ მიიღო **IREX-ს გრანტი**, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტში დაიწყო ”ტექნო-ცენტრის” მშენებლობა და სათანადო აღჭურვა. გრანტის მეშვეობით საფუძველი ჩეყარა ტექნოლოგიურ საინჟინრო ლაბრატორიას.

აღნიშნული გრანტის ფარგლებში უნივერსიტეტს ეწვია ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტის (UNT www.unt.org) ამერიკელი პროფესორი გაბრიელ კარანსა. მისი ვიზიტის ფარგლებში განხილული იქნა თანამშრომლობის ფართი სპექტრი ქართულ და ამერიკულ უნივერსიტეტებს შორის, რაც გულისხმობს სტუდენტების და თანამშრომლების გაცვლას, ერთობლივ პროექტებს და სხვა.

ამ და სხვა საკითხებზე ამერიკელი პროფესორი გაბრიელ კარანსა საუბრობს ინტერვიუში "გამოცდილების გაზიარებისათვის" იხ. გაზეთი "24 საათი" 30 ივლისი, 2011წ. ლინკი ინტერნეტში: <http://24saati.ge/index.php/category/society/science/2011-07-30/18964>

2011 წელს წარმატებით გრძელდებოდა მუშაობა **იაპონიის სამთავრობო გრანტზე**, რომელიც გულისხმობს მზის ენერჯის ფოტოვოლტური პანელების სისტემის და სადემონსტრაციო მოწყობილობებით უნივერსიტეტის აღჭურვას. უნივერსიტეტის მხრიდან ამ პროექტს კურირებს ინოვაციური იდეების კომერციალიზაციის დეპარტამენტი.

2011 წელს გაზაფხულზე და შემოდგომაზე უნივერსიტეტს ორჯერ ეწვია იაპონიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (JICA) და იაპონიის მთავრობის კონსულტანტების (Oriental Consultants Co., Ltd.) დელეგაცია.

იაპონური დელეგაციის ბოლო ვიზიტის ფარგლებში საბოლოოდ შემუშავდა მზის ფოტოვოლტური პანელების მონტაჟის დეტალები, დამუშავდა პროექტი და დიზაინი, გადაწყდა რომ მზის ფოტოვოლტური პანელების სისტემა დამონტაჟდება უნივერსიტეტის F და G კორპუსების გასწვრივ. სისტემა პიკური მუშაობის დროს გამოიმუშავებს 38,5 კილოვატ ენერჯის და მოამარაგებს ელექტროენერჯით აღნიშნულ ორ კორპუსს.

გარდა აღნიშნული კონკრეტული პროექტებისა ინოვაციური იდეების კომერციალიზაციის დეპარტამენტში რეგულარულად მმდინარეობდა რუტინული სამუშაოები. რეგულარულად მიეწოებოდა კონსულტაციები სხვადასხვა სფეროში მომუშავე მეცნიერებს მათი კვლევების და ინოვაციების კომერციალიზაციის მიზნით.

ამ მიმართულებით მუშაობის და საერთოდ დეპარტამენტში მიმდინარე სამუშაოების შესახებ, უნივერსიტეტის ხედვა მეცნიერული აღმოჩენების, ინოვაციების და მათი შემდგომი კომერციალიზაციის შესახებ გამოქვეყნდა კახა ქარჩხაძის ინტერვიუში "ინოვაციების კომერციალიზაცია" , "24 საათი" 12 ივლისი, 2011 წ. ლინკი ინტერნეტში: <http://24saati.ge/index.php/category/society/science/2011-06-12/17660>

- **საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით 2011 წელს ჩატარდა:

18 - კონფერენცია

54 - საჯარო ლექცია და პრეზენტაცია

17 - სემინარი

31 - სხვა მსხვილი ღონიძიება, როგორც უნივერსიტეტის ფარგლებში, ასევე მის გარეთ.

პირველ რიგში აღსანიშნავია **საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სარეკლამო კამპანიები:**

1. უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების პოპულარიზაციისათვის მომზადდა ვიდეო რგოლი (15 წმ. და 30 წმ.), რომელიც 25 თებერვლიდან 21 მარტამდე გადიოდა 3 ეროვნული ტელეარხის ეთერში. ეს ვიდეო რეკლამა ასევე გავრცელდა ჩვენი youtube.com/iliauni არხის და facebook.com/iliauni.edu.ge გვერდის მეშვეობით. რგოლის გადაღებებში ჩართულები იყვნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც შემდგომში უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა უნივერსიტეტის რამდენიმე სხვა სარეკლამო კამპანიაში.

ფაკულტეტების მიხედვით მოზადდა და დაიბეჭდა 5000 საბაკალავრო პროგრამის ბუკლეტები (მეცნიერება და ხელოვნება, საინჟინრო, სპორტის, სამართლის და ბიზნესის ფაკულტეტები), რომლებიც გავრცელდა ძირითადად თბილისში.

თებერვლიდან- აპრილის ჩათვლით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო რადიო "პალიტრის" ეთერის სტუმარი (გადაცემა - "შშობლის საათი"), ამასთან ერთად დღეში 6- ჯერ გადიოდა უნივერსიტეტის ჯერ საბაკალავრო, შემდეგ სამაგისტრო პროგრამების რეკლამა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა 8-13 მარტს გამართულ განათლების კვირეულში, სადაც ჩვენი სტუდენტების დახმარებით ჩატარდა საქართველოში პირველი „ფლემ-მობი“ უნივერსიტეტის პავილიონის პოპულარიზაციისათვის. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში 1 კვირის განმავლობაში რიგდებოდა უნივერსიტეტის ბუკლეტები, ფლაიერები, სხვადასხვა სარეკლამო პროდუქცია.

2. სამაგისტრო და სადოქტორო ფაკულტეტის საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების პროექტის ფარგლებში მომზადდა სარეკლამო რგოლი, რომელიც 2 კვირის განმავლობაში გადიოდა 3 ეროვნულ ტელეარხზე. მომზადდა ასევე სარეკლამო ფლაიერები - საჯარო პოლიტიკის, შუა საუკუნეების კვლევების, ფიზიკის და ასტრონომიის, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამების შესახებ.

სექტემბერის პირველ კვირაში გაიმართა პრეზენტაციები შინაგან საქმეთა, ეკონომიკის და იუსტიციის სამინისტროებში.

სამაგისტრო პროგრამების კლიპი და ტექსტური ინფორმაცია ასევე გავრცელდა ინტერნეტ მედიის მეშვეობით.

მედია გაშუქება.

2011 წლის 1 იანვრიდან უნივერსიტეტის შესახებ

- გამოქვეყნდა **762** სტატია პრესაში.
- ეთერში გავიდა **589** ტელერეპორტაჟი.
- შედგა **178** რადიო გადაცემა უნივერსიტეტის შესახებ.

- გავრცელდა **483** ინფორმაცია საინფორმაციო სააგენტოების და ოფიციალური ინტერნეტ გვერდების მეშვეობით (პირადი და კორპორატიული ბლოგების და გვერდების გარდა).

კვლევის შედეგად პრესაში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობით უნივერსიტეტების რეიტინგულ სიაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიკავა პირველი ადგილი, ყველა სხვა პარამეტრის მიხედვით კი მეორე.

უნივერსიტეტის Face Book -ის გვერდის მხარდამჭერთა რაოდენობამ 9 100 გადააჭარბა (სულ - 2021 მასალა უნივერსიტეტის შესახებ).

ტრადიციისამებრ ივნისის ბოლო შაბათს გაიმართა **ბაკალავრიატის საფეხურის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება**. წელს მოხერხდა ღონისძიების გაფორმება უნივერსიტეტის სტუდენტების ძალებით. უკვე მეორე წელია ამ ღონისძიებაში მონაწილეთა რაოდენობა ორჯერ იმატებს წინა წელთან შედარებით (*1024 კურსდამთავრებული*).

პირველად ფაკულტეტების მიხედვით სხვადასხვა ფერის ბაკალავრების შარფები (1250) იყიდებოდა უნივერსიტეტის წიგნის მაღაზია "ლიგამუსში".

2011 წლის 3 ივნისს პირველად ჩატარდა **სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიება**, რომელშიც მონაწილეობა 157 მაგისტრანტმა მიიღო. მაგისტრანტებისთვის მომზადდა განსხვავებული მანტიები და ქუდები. ღონისძიება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე გაიმართა.

სპეციალური პროექტები

2011 წელს აღნიშნულმა სამსახურმა აქტიურად დაიწყო ელექტრონული პორტალის - **livestream.com/iliauni-ის** გამოყენება საჯარო ლექციების ჩასწერად და ინტერნეტში გასავრცელებლად. რამაც საშუალება მოგვცა რეალურ დროში, ინტერნეტის მეშვეობით ვიდეო გამოსახულების გადაცემის, ჩანაწერის შენახვისა და მაცურებელთან უკუკავშირის დამყარების. ამჟამად ამ არხზე 17 ლექციაა ხელმისაწვდომი.

აგრეთვე აქტიურად გამოიყენება **Youtube.com/iliauni-ს არხი**, სადაც 80-ზე მეტი ვიდეო მასალაა გამოქვეყნებული.

რაც შეეხება 2.0 ინტერნეტ მედიას, საინტერესოა, რომ გენდერული ბალანსი ასე გამოიყურება FB- ს მეგობრების/ფანების დაახლოებით 70% ქალები და 30% მამაკაცები წარმოდაგენენ, yoube.com/iliauni-ს შემთხვევაში პროპორცია ზუსტად საპირისპიროა.

14 აპრილს დედაენის დღის აღსანიშნავად სტუდენტების დახმარებით გაიმართა **ფლემ-მოზი** რუსთაველის გამზირზე. ამ ღონისძიებაში 50 -ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური წელსაც არ ღალატობს ტრადიციას და კოორდინირებას უწევს *ყოველწლიურ ლიტერატურულ კონკურსს - "საუკეთესო ქართული რომანი"*. წელს ამ კონკურსზე წარდგენილია 18 რომანი. გამარჯვებულის გამოცხადება და დაჯილდოება მოხდება 2011 წლის 30 დეკემბერს წიგნის მაღაზია "ლიგამუსში".

ონლაინ ლექციები/university.org

"ცოდნის კაფე" პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან და ფაკულტეტების დეკანებთან თანამშრომლობით საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ახორციელებდა ონლაინ ლექციების გადაღებას და შესაბამის ვებზე ატვირთვას. შედეგად ჩაწერილია და ატვირთულია **4166** ჩანაწერი, რაც დაახლოებით **1500** ლექციას წარმოადგენს. შესაბამისად

შესაძლებელი გახდა university.org პორტალის ამუშავება, რომელიც ამ ლექციების ერთგვარ უნივერსალურ კატალოგს წარმოადგენს.

კონფერენცია "20 წელი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ისტორიული კონტექსტი და სტრატეგიული პერსპექტივები"

10-11 დეკემბერს სასტუმრო "ჰოლიდი ინში" საქართველოს ატლანტიკური საბჭოსთან და ევროპის სახლთან თანამშრომლობით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია "20 წელი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ისტორიული კონტექსტი და სტრატეგიული პერსპექტივები". კონფერენციაზე, რომელშიც 150 -მდე ადამიანი მონაწილეობდა, 22 მომხსენებელი გამოვიდა. მათ შორის ისეთი სახელგანთქმული პოლიტიკოსები და მეცნიერები, როგორებიცაა - ვიტაუტას ლანდსბერგისი, ვლადიმირ სოკორი, პიტერ სემნები, ანდრეი ილარიონოვი, ვლადიმირ ბუკოვსკი, გია ნოღია, ტიმოტი ბლაუველტი, მარია ბენინგსენ-ბროქსუფი, გიგა ბოკერია, ალექს პიტერსენი, და სხვ. კონფერენციის დახურვის დღეს ილიას საელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ლიტვის პირველ პოსტ-საბჭოთა პრეზიდენტს ვიტაუტას ლანდსბერგისს გადაეცა საპატიო დოქტორის წოდება. უნივერსიტეტის წიგნის მაღაზიაში გაიმართა მისი საჯარო ლექციაც.

2011 წლის ზაფხულში **Ranking Web of World Universities** მიერ გამოქვეყნებული ახალი მონაცემების მიხედვით, საქართველოს უნივერსიტეტებს შორის - **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდრობს**. ამ რეიტინგულ სიაში გაერთიანებულია მსოფლიოს 12 000 უმაღლესი სასწავლებელი. აღსანიშნავია, რომ შარშანდელ მონაცემებთან შედარებით ჩვენმა უნივერსიტეტმა 2 000 პუნქტით გაიუმჯობესა მაჩვენებელი.

მომზადდა და დაიბეჭდა უნივერსიტეტის **2010 წლის წლიური ანგარიში** (88 გვერდი, 2 ენაზე - ქართულად და ინგლისურად) 2 000 ეგზ.

წლის ბოლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მუშაობს უნივერსიტეტის 2011 წლის ანგარიშზე, რომელიც პირველად საქართველოში ელექტრონულ ინტერნეტ ფორმატში გამოვა. ამისათვის მზადდება ვებ-პლატფორმა, უკვე გადაღებულია 45 ვიდეო-სიუჟეტი, დაწყებულია მუშაობა მონტაჟზე და ტექნიკურ ნაწილზეც. ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოვა. მისი საჯარო პრეზენტაცია 2012 წლის 15 თებერვალს შედგება.

- **უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა**

2011 წელს **უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის** მიერ განხორციელებულ სამუშაოთა შორის დიდი ადგილი დაეთმო არსებული კოლექციების მენეჯმენტსა და მათი განვითარების საკითხებს:

1. კოლექციების განვითარების სტრატეგიის დახვეწა

კოლექციების განვითარების სტრატეგიის დახვეწისა და კოლექციების მენეჯმენტის გამართული ფუნქციონირების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ 2011 წელს განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- წინარე კვლევის შედეგად გამოიკვეთა ზოგიერთი სტრატეგიული მიმართულების შემუშავების საჭიროება:

- 1) ბიუჯეტირება და ფინანსების სწორი გადანაწილება;
- 2) მომხმარებლის მოთხოვნილებების შეფასება;
- 3) სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- 4) საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- 5) ბიბლიოთეკათშორისი ურთიერთობების დამყარება და რესურსების გაზიარება;
- 6) წიგნის მოძრაობის პოლიტიკა;
- 7) შეთავაზებული სერვისების განვითარება;
- 8) ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების ხარისხი და მნიშვნელობა;
- 9) ელექტრონული რესურსების განვითარება;
- 10) საავტორო უფლებები;
- 11) მარკეტინგი;
- 12) ღია რესურსებზე წვდომის ხელშეწყობა;
- 13) საბიბლიოთეკო კოლექციების განვითარების პოლისები და სხვა;

2. კოლექციების განვითარება

საჭიროებების იდენტიფიცირება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კოლექციების განვითარება ქვემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება. განვითარების პროცესს წინ უსწრებს დაგეგმვის ეტაპი, რომელიც საჭიროებების იდენტიფიცირების საფუძველზე ყალიბდება.

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი: პროფესორ-მასწავლებელთა მიერ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო საინფორმაციო რესურსის შედარება ბიბლიოთეკაში არსებულ ფონდთან.
- პროფესორ-მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა კითხვარებისა და შეხვედრების საშუალებით;
- სტატისტიკური ანალიზის შედეგად ბიბლიოთეკაში ხშირად მოთხოვნილი საინფორმაციო რესურსის დადგენა და მათი შესყიდვით ან სხვა საშუალებებით ბიბლიოთეკის შევსება .
- ბიბლიოთეკაში არსებული ახლადშემძენილი საინფორმაციო რესურსის მოთხოვნისა და გამოყენების სტატისტიკური ანალიზი;
- ბიბლიოთეკის ვებგვერდზე ელექტრონული რესურსის მოხმარებისა და გამოყენების სტატისტიკური ანალიზი;

სასწავლო საინფორმაციო რესურსების განვითარების პროექტი გრძელდება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებული სამეცნიერო (საინფორმაციო) ლიტერატურის მხოლოდ 30% არის ამავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი. ამ პრობლემის დასაძლევად ილიას

სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ შეიმუშავა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს როგორც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის სამუშაო პროცესის გააადვილებას, ასევე, რაც მთავარია, სტუდენტებისთვის აუცილებელი სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობას. პროექტს, რომელიც 210 წლიდან დღემდე ხორციელდება ბიბლიოთეკაში, აქვს რამდენიმე მიზანი:

- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ყველა საჭირო საინფორმაციო რესურსით;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სხვა მასწავლებლების (ლექტორები) ბიბლიოთეკაში მოზიდვა და მათი ინფორმირება ბიბლიოთეკის სხვადასხვა სერვისების თაობაზე სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა ბიბლიოთეკის სივრცეში უკეთ ინტეგრირების მიზნით;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ სასწავლო რესურსის განვითარების პროექტის ფარგლებში პროფესორ-მასწავლებელთა დახმარებით და მათი უშუალო მონაწილეობით უზრუნველყო „რიდერების“ ელექტრონული და ბეჭდური ვერსიების დამზადება. 2011 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფიზიკურ და ვირტუალურ სივრცეში განთავსებულია **35 კურსის ხელმძღვანელის 52 სასწავლო კურსის "რიდერები"**, მათ შორის:

- ✓ საბაკალავრო კურსებისთვის – 30 "რიდერი"
- ✓ სამაგისტრო კურსებისთვის – 21 "რიდერი"
- ✓ სადოქტორო კურსებისთვის – 1 "რიდერი"
- ✓ სულ ბეჭდური „რიდერების“ 233 ეგზემპლარია;

2011 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვირტუალურ სივრცეში განთავსებულია დამატებით 52 „რიდერი“, რაც საერთო ჯამში ელექტრონულ **260 "რიდერს"** შეადგენს.

სასწავლო საინფორმაციო რესურსების განვითარების პროექტის აღწერა და პროექტის ანგარიში განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე
პროექტი: <http://library.iliauni.edu.ge/proeqtebi/194-2010-06-17-12-47-16>
ანგარიში: <http://library.iliauni.edu.ge/proeqtebi/171-reader-report>

წიგნების შეძენა/ჩუქება

2011 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განხორციელდა საინფორმაციო რესურსის შემდეგი სახის შესყიდვები:

- უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ მიღებული 4 გრანტის ფარგლებში ელექტრონული მაღაზიის www.amazon.com საშუალებით 29 დასახელების 33 ეგზემპლარი, 4 186 ლარის ოდენობით დანართი 1);
- ბიბლიოთეკის პროგრამის - საინფორმაციო რესურსის შესყიდვის -ფარგლებში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნის საფუძველზე - შედგა 5 ტენდერი: 1259 დასახელების, 1359 ეგზემპლარი, 43 496 ლარის ოდენობით დანართი 2);
- საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის ითარგმნა რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთები ტენდერის სახით: 32 დასახელების, 429 ეგზემპლარი, 4215 ლარის ოდენობით;
- სულ **51 897** ლარის ღირებულების საინფორმაციო რესურსი;
- წიგნის მაღაზიის „ლიგამუსი“ მოთხოვნის საფუძველზე 13052 ლარის ოდენობით;
- სულ **64 949** ლარის ღირებულების შესყიდვა.

2011 წლის განმავლობაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ 100-ზე მეტი დონორისგან საჩუქრად მიიღო 1236 დასახელების წიგნი.

3. ღონისძიებები

თბილისის წიგნის XIII საერთაშორისო ფესტივალი

თბილისის წიგნის XIII საერთაშორისო ფესტივალზე (2011 წ. 26-29 მაისი) ილაუნის ბიბლიოთეკამ, დამთავალიერებელს, სხვა საბიბლიოთეკო რესურსებთან ერთად ელექტრონული წიგნები ("ქინდლები") შესთავაზა. გარდა ამისა, ბიბლიოთეკამ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით, ფართო საზოგადოებას საკუთარი ელექტრონული რესურსები გააცნო.

ბიბლიოთეკის ელ. რესურსების პრეზენტაცია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ 2011 წლის 8 ივნისს გამართა პრეზენტაცია სამეცნიერო ელექტრონული რესურსების შესახებ.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ილიაუნისა და „Project Gutenberg“-ის ელექტრონული ბიბლიოთეკები, უნივერსიტეტისთვის ხელმისაწვდომი სამეცნიერო ელექტრონული ბაზები და ბიბლიოთეკის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული ყველა ის სერვისი, რომელიც ელექტრონული რესურსის ეფექტურ ხელმისაწვდომობასა და გამოყენებას გულისხმობს.

გამომსვლელებმა ასევე აღნიშნეს, რომ სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა ხელს უწყობს სხვადასხვა თანამედროვე სამეცნიერო სფეროში დაგროვილი ინფორმაციისა და გამოცდილების გავრცელება-გაზიარებას, კვლევისა და სწავლების პროცესების ინტეგრაციასა და სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებას.

უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის პრეზენტაციისას მოწვეული სტუმრების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, სასწავლო მასალის ელექტრონულ ფორმატში ტექსტურ და აუდიო ვერსიებზე, ვიდეო ლექციებსა და "საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების განვითარების" პროგრამის ფარგლებში თარგმნილ სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე, ღია ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებამ.

სტუდენტთა კონფერენცია

კურსის "ინფორმაციული წიგნიერება" ფარგლებში, 2011 წლის 5 ივლისს გაიმართა სტუდენტთა კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა კურსდამთავრებულების მიერ სწავლების პროცესში შეძენილი, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მოძიების, მისი სანდოობის განსაზღვრის, დამუშავების, საავტორო უფლებების დაცვით გამოქვეყნებისა და პრაქტიკაში დამოუკიდებლად გამოყენების უნარების გამოვლენას. სტუდენტების მისაღწევი შედეგების შემოწმების წყაროდ სასწავლო წლის დასაწყისშივე შეირჩა კვლევითი პროექტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს უნდა შეერჩიათ საკვლევი თემა, დაემუშავენინათ და გამოექვეყნებინათ ვებ-გვერდის საშუალებით. კონფერენციაზე მოხდა სტუდენტების მიერ შესრულებული საუკეთესო ნამუშევრების პრეზენტაცია.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 13-მა სტუდენტმა, რომლებიც წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით შეირჩნენ 83 მსურველიდან.

„ეფექტური კომუნიკაციის“ ტრენინგი

ტრენინგი „ეფექტურ კომუნიკაცია“ ჩატარდა 21-24 თებერვალს. მასში მონაწილეობას იღებდნენ საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ფონდების მენეჯმენტის განყოფილების 17 თანამშროლი.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა:

- ეფექტური კომუნიკაციის პოზიტიურ მნიშვნელობის გაცნობიერება;
- კომუნიკაციის ძირითადი ელემენტებისა და საფეხურების განსაზღვრა;
- აქტიური მოსმენისა და პოზიტიური უკუკავშირის უნარების განვითარება;
- მკითხველის ლოიალობის შენარჩუნებაში ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობის გააზრება;

- სხვადასხვა ტიპის მომხმარებელთან ეფექტური ურთიერთობის უნარ-ჩვევების შექმნა და პრაქტიკაში გამოყენება;
- რთულ პრობლემურ სიტუაციაში მომხმარებელთან ურთიერთობის წარმართვის სტრატეგიების ათვისება.

ტრენინგი კვლევითი ვებ-პროექტები

ტრენინგი „კვლევითი ვებ-პროექტების შემუშავება“ ჩატარდა 2011 წლის 24-25 თებერვალს, მასში მონაწილეობას იღებდნენ კურსის „ინფორმაციული წიგნიერების“ პედაგოგთა თანამდებობაზე კონკურსის შედეგად შერჩეული 23 კანდიდატი.

ტრენინგის მიზნად ისახავდა:

- სწავლება-სწავლის სამფაზიანი მოდელის გაცნობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებას;
- კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების მნიშვნელობის გააზრებას;
- კვლევითი ვებ-პროექტების შემუშავების სტრატეგიების გაცნობას;
- კვლევითი ვებ-პროექტების შემუშავებასა და პრაქტიკაში (სასწავლო პროცესში) სტუდენტებთან დანერგვას;
- კურსის მეთოდოლოგიური მიდგომების გაცნობა/გააზრებას.

ტრენინგი „სწავლება-სწავლის თანამედროვე მიდგომები“

ტრენინგი „სწავლება-სწავლის თანამედროვე მიდგომები“ ჩატარდა 2011 წლის 27-30 სექტემბერს, მასში მონაწილეობას იღებდნენ კურსის „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საბაზისო კურსის“ პედაგოგთა თანამდებობაზე კონკურსის შედეგად შერჩეული 18 კანდიდატი.

ტრენინგი მიზნად ისახავდა:

- თანამედროვე განათლების სისტემაში არსებული ტენდენციების გაცნობას
- კონსტრუქცივისტული თეორიების გააზრებასა და პრაქტიკასთან დაკავშირებას
- სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების ხერხებზე მსჯელობასა და სასწავლო პროცესში დანერგვას

ტრენინგი - სამეცნიერო ელ. ბაზების გამოყენების შესახებ

ტრენინგის - „სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ“ ჩატარება დამოკიდებულია მსურველთა რაოდენობაზე და მოთხოვნაზე. 2011 წელს აღნიშნული ტრენინგი ჩატარდა 12-ჯერ, მასში მონაწილეობა მიიღო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და თანამშრომლებმა.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენს:

- თანამედროვე სამეცნიერო სფეროში დაგროვილი ინფორმაციისა და გამოცდილების გავრცელება-გაზიარებას, კვლევისა და სწავლების პროცესების ინტეგრაციასა და სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებას.

ტრენინგის ამოცანას წარმოადგენს:

- მონაწილეებმა შეძლონ სამეცნიერო ელექტრონული ბაზების საძიებო ინსტრუმენტების ათვისება და პრაქტიკაში გამოყენება.

4. სერვისები

განახლდა და უფრო მრავალფეროვანი გახდა საბიბლიოთეკო მომსახურების ისეთი სერვისები, როგორც არის:

- ბიბლიოთეკათმორისი მომსახურება
- წიგნის დაჯავშნა
- წიგნის ელექტრონულად შეკვეთა
- მკითხველის ელექტრონული რეგისტრაცია

სერვისების ცვლილებების პარალელურად შემუშავდა ინსტრუქციები და ახალი წესები, შესაბამისად დაიხვეწა ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

2011 წლის მანძილზე გრძელდებოდა **MARC 21-ის სტანდარტების** კვლევა. წინა წლებში დასრულდა პროგრამის ხუთი ფორმატის ძირითადი თეორიული საკითხების გარჩევა და პრაქტიკულ სამუშაოში გამოსაყენებლად მომზადება. მომზადებული მასალის საფუძველზე უნივერსიტეტის ელ-კატალოგში შევიდა ათასობით ჩანაწერი. წელს გრძელდებოდა MARC 21-ის ბიბლიოგრაფიული ფორმატის კონკრეტული ველების დამუშავება საჭიროებისამებრ. მომზადდა ბევრი ველის აღწერილობა და დაიწყო ჩანაწერებისთვის რიგი ველების დამატება, რაც თავისთავად გულისხმობს უკვე არსებული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების დახვეწას და ახალი ჩანაწერების გაცილებით მაღალ დონეზე მომზადებას. *ამ ველებიდან ყელაზე მნიშვნელოვანი და ფართოდ გამოყენებადია 650 ველი ანუ საგნობრივი დამატებითი შენატანი - თემატური ტერმინი / Subject Added Entry - Topical Term (R)*. მასში ძირითადი თემის გარდა შესაძლებელია ქვევლებში სხვადასხვა ტიპის ქვედაყოფის ტერმინების ჩაწერა, იქნება ეს გეოგრაფიული, ქრონოლოგიური თუ სხვა.

MARC 21-ის სტანდარტის მიხედვით მზადდება გაიდი პერიოდული გამოცემებისთვის სათანადოდ სრული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების მოსამზადებლად. მასალის დიდი ნაწილი უკვე დამუშავებულია. პრველ ეტაპზე შესწავლილ იქნა გაგრძელებადი რესურსების, პერიოდული გამოცემების აღწერის სტანდარტი - CONSER სტანდარტი. ამ სტანდარტით გათვალისწინებული ველების საჭირო მონაცემები ერთად არის თავმოყრილი. მასალის ქართულ ენაზე თარგმნის და გაიდის ფორმატში მოქცევის შემდეგ შესაძლებელი იქნება უნივერსიტეტის ელექტრონულ კატალოგში სტანდარტული დონის ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების შექმნა პერიოდიკისთვის, რაც ახლო მომავალში დაიწყება.

5. ტექნოლოგიები

გასული წლის მანძილზე საკმაოდ გაიზარდა ბიბლიოთეკის ელ.კატალოგში შეტანილი ჩანაწერების რაოდენობა. ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „ვეერგინის“ გამოყენებისა და მასში ახალი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის შექმნის თუ სხვა ბაზიდან ჩანაწერის გადმოწერისთვის საჭირო ცოდნა მიიღო კატალოგისტების საკმაო რაოდენობამ. რამდენადაც კატალოგში ჩანაწერების რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, ჩანაწერების ხარისხის გაკონტროლების პროცესიც ცხადია გაგრძელდება.

ივნისის თვეში პარმასა და ლონდონში გაიმართა **TEMPUS-ის პროექტის „ახალი სამაგისტრო პროგრამა ბიბლიოთეკებისა და ინფორმაციის მეცნიერებების სფეროში“** სამუშაო შეხვედრა პროექტის მონაწილე უნივერსიტეტების (საქართველო, სომხეთი, უზბეკეთი) წარმომადგენლებს შორის. შეხვედრის დროს განხილულ იქნა იტალიისა და ესპანეთის უნივერსიტეტების გამოცდილება და მისი ბოლონის პროცესთან შესაბამისობა. შედგა ვიზიტი პარმასი არსებულ ერთ-ერთ უძველეს ბიბლიოთეკასა და უცხოენოვანი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში. ამავე თემას მიემდგნა ვიზიტი ლონდონის მიდლსექსის უნივერსიტეტში (Middlesex University, London), სადაც გარდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა, ასევე განხილულ იქნა პროექტის მენეჯმენტის დასკვნითი შეხვედრისა და კონფერენციის საორგანიზაციო საკითხები.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ წელს მეორედ უმასპინძლა საზაფხულო სკოლას, რომელიც TEMPUS-ის პროექტის „ახალი სამაგისტრო პროგრამა ბიბლიოთეკებისა და ინფორმაციის მეცნიერებების სფეროში“ ფარგლებში გაიმართა.

საზაფხულო სკოლის პროგრამა აერთიანებდა:

- ლექციებს მხოლოდ მოწვეული მონაწილეებისთვის (უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები და ინსტიტუტები)
- ერთდღიან სემინარებს დაინტერესებული პროფესიონალებისთვის
- საჯარო ლექციებს ფართო აუდიტორიისთვის.

- **უნივერსიტეტის გამომცემლობა**

2011 წლის განმავლობაში **უნივერსიტეტის გამომცემლობაში** გამოიცა 24 ახალი დასახელების წიგნი, შესრულდა ძველი გამოცემების რეპრინტები, დასრულდა 2010 წელს გამოცემული წიგნების სრული ტირაჟები. სულ ჯამურმა ტირაჟმა შეადგინა 25 654 ცალი და თვითღირებულებამ — 138 502 ლარი.

(დანართი №1).

2011 წელს მომზადდა 22 დასახელების ელექტრონული გამოცემა, მათგან 21 eBook-ის (20 eBook-რიდერებისთვის ოპტიმიზებული PDF და 1 — MOBI ფორმატების), ხოლო ერთი CD-ზე ჩაწერილი სახით გამოიცა.

- 5 260 ჯამური ტირაჟით დაიბეჭდა **11 დასახელების ჟურნალი, ბროშურა და სხვა პროდუქცია**, თვითღირებულებით — 32 401 ლარი;
- აიკინმა 353 ცალი **რიდერი**, თვითღირებულებით — 1 667 ლარი;
- დამზადდა 9 100 ცალი **სავიზიტო ბარათი**, ჯამური თვითღირებულებით — 1 968 ლარი;
- **2012 წლის კალენდარი**, 250×450 მმ ზომის, 14 ფურცლიანი. 500 ც., თვითღირებულებით — 2 400 ლარი;
- დანარჩენი სხვადასხვა პოლიგრაფიული პროდუქციის (სტუდენტთა **საინფორმაციო მასალა, ფლაერები, მოსაწვევები, პლაკატები, კითხვარები, კომერციული შეკვეთები და ა.შ.**) ჯამურმა თვითღირებულებამ შეადგინა 38778 ლარი;

სულ 2011 წლის 14 დეკემბრის მდგომარეობით სტამბის მიერ შესრულებული სამუშაოების თვითღირებულება — 215716 ლარი;

გამომცემლობის მიერ მომზადდა სხვადასხვა პოლიგრაფიული პროდუქციის, მასალის, ფერდაშლის ფირების და ა.შ. შესყიდვის 47 ხელშეკრულება და შეთანხმება საერთო ღირებულებით — 158437 ლარი.

გამოცემული წიგნების რეალიზაციიდან 2011 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით შემოსავალმა შეადგინა:

„ლიგამუსის“ გაყიდვები — 51096 ლარი;

სხვა გაყიდვები — 29325 ლარი;

სულ — 80421 ლარი.

2011 წლის მდგომარეობით **მთარგმნელობით სამუშაოებზე** 60 183 ლარი, ხოლო **სარედაქციო სამუშაოებზე** 32 282 ლარი დაიხარჯა.

მოპოვებულ იქნა **10 ახალი წიგნის თარგმნისა და გამოცემის უფლება**, მათგან 3 უკვე გამოცემულია, დანარჩენებზე მიმდინარეობს მუშაობა.

მოპოვებულ იქნა დაფინანსება შემდეგი წიგნებისთვის:

- Political Science Research Methods; Janet Buttolph Johnson, H.T. Reyonolds; Jason D.Mycoff — აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტი;
- Public Administration: An Action Orientation by Robert B. Denhardt, Janet V. Denhardt — აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტი;
- Vida De Don Quijote Y Sancho; Migeul De Unamuno — ესპანეთის კულტურის სამინისტროს პროექტი;
- Rimay Leyendas; Gustavo Adolfo Becquer — ესპანეთის კულტურის სამინისტროს პროექტი;

- Euskal Harria; Gabriel Aresti — ბასკეთის კულტურის სამინისტროს პროექტი;
- Harrizko Herri Hau; Gabriel Aresti — ბასკეთის კულტურის სამინისტროს პროექტი;
- El Poeta Gabriel Aresti; Jon Kortazar — ბასკეთის კულტურის სამინისტროს პროექტი;

გრძელდება დაწყებული წიგნების მომზადება გამოსაცემად, მათ შორის:

- Essential Bioinformatics — დასრულებულია წიგნის თარგმნა და სამეცნიერო რედაქტირება. დაწყებულია დაკაბადონება;
- Project Management: A Systems Approach to Planning, Scheduling, and Controlling by Harold, Kerzner — დასრულებულია წიგნის თარგმნა, სტილისტური რედაქტირება და დაკაბადონება;
- Financial Management: Theory & Practice by Eugene F. Brigham, Michael C. Ehrhardt — შესრულებულია წიგნის ნაწილის თარგმნა და სტილისტური რედაქტირება;
- Managing Human Resources by Jackson, Susan E., Schuler, Randall S., Werner, Steve — შესრულებულია წიგნის ნაწილის თარგმნა და სტილისტური რედაქტირება;
- Art History, Combined by Marilyn Stokstad — სრულდება წიგნის თარგმნა და სამეცნიერო რედაქტირება (დარჩენილია 3 თავი);
- Les Etapes de la pensée sociologique by Raymond Aron — სრულდება წიგნის თარგმნა;
- Modern Sociological Theory by George Ritzer — დასრულებულია წიგნის თარგმნა, წიგნის ნაწილის სტილისტური რედაქტირება;
- Models, Strategies and Methods For Effective Teaching ; H.R.Lang, D.N.Evans — სრულდება თარგმნა;
- მიხეილ თუმანიშვილი; მ. ტურიაშვილი — მზადდება გამოსაცემად;
- Nations and Nationalism since 1780; E.J. Hobsbaum — დასრულდა თარგმანი, მიმდინარეობს რედაქტირება;
- ორთაბრძოლა — ანტიკომუნისტის ჩანაწერები; ვიქტორ კრასინი — ითარგმნა ნაწილი.

დასაბეჭდად მომზადდა — „ობერონის ხელი“ და „ქაოსის კარი“ (როჯერ ზელაზნის ამბერის ქრონიკების სერიიდან), ასევე ფილიპ ჰოზე ფარმერის „დაკარგული სხეულების ძიებაში“. მათი დაბეჭდვა ვერ მოხერხდა შესაბამისი ქაღალდის არ ქონის გამო.

#	დასახელება	ავტორი	ISBN/ISSN/UDC	რ-ბა	თვითლ-ბა	სულ
წიგნები						
1	კომუნიზმის შავი წიგნი	სტეფან კურტუა და სხვები	978-9941-18-035-4	450	26	11700
2	საერთაშორისო პოლიტიკა – მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები	არტი და ჯერვისი	978-9941-18-034-7	1005	10.6	10653
3	ხალხის მტრები: ჩემი გზა ამერიკამდე	კატი მარტონი	978-9941-18-033-0	2000	8.25	16500
4	Информационная Блокада Чечни – (Сентябрь 1996 – Декабрь 2002)	Олег Панфилов	978-9941-18-026-2	1000	11.2	11200
5	Россия – Грузия: Информационная война. Август 2008	Олег Панфилов	978-9941-18-069-9	151	9.85	1487
6	არამეული დამწერლობის განვითარება	იოსებ ნავე	978-9941-18-029-3	200	2.65	530
7	კულტურები და ორგანიზაციები - გონების პროგრამული უზრუნველყოფა	გირტ ჰოფსტედე და გერტ იან ჰოფსტედე	978-9941-18-031-6	450	4.86	2187
8	სტატისტიკის მეთოდების სახელმძღვანელო ფიზიკის მეცნიერებისათვის	როჯერ ბარლოუ	978-9941-18-059-0	450	4.06	1827
9	თეორია განათლებისათვის	გრეგ დიმიტრიადისი და ჯორჯ კამბერელისი	978-9941-18-008-8	450	3.09	1391
10	ისტორიის შესახებ	ჯონ ტომი	978-9941-18-022-4	450	3.59	1616
11	შესავალი ქართული ფეოდალიზმის კვლევაში (გიორგი ბრწყინვალის „მეგლთა დადება“)	გიორგი შარაშიძე	UDC (უკ) 77.035.93 მ-804 ISSN: 1987-9407 ISBN: 978-9941-18-027-9	500	2.05	1025
12	ნაკვალევები, მითები, მიკროისტორია - ესეები ევროპის ისტორიისა და კულტურის შესახებ	კარლო გინმბურგი	UDC (უკ) 77.035.93 მ-804 ISSN: 1987-9407 ISBN: 978-9941-18-056-9	100	5.5	550
13	მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარება, ტომი 1	გიორგი წულაძე	UDC (უკ) 314 (100) წ-857 ISBN: 978-9941-18-063-7 ISBN: 978-9941-18-064-4	40	12.5	500

	მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარება, ტომი 2	გიორგი წულაძე	UDC (უკ) 314 (100) წ-857 ISBN: 978-9941-18-063-7 ISBN: 978-9941-18-065-1	40	11.85	474
14	ავალონის თოვები	როჯერ ზელაზნი	978-9941-18-025-5	2000	3.59	7180
15	მარტორქის ნიშანი	როჯერ ზელაზნი	978-9941-18-032-3	2000	3.42	6840
16	ფანტასტიური ნათება	ტერი პრატჩეტი	978-9941-18-030-9	2000	3.95	7900
17	ბურუსი	მიგელ დე უნამუნო	978-9941-18-066-8	60	2.55	153
18	ბასკური ლიტერატურის ისტორია	იონ კორტასარი	978-9941-18-068-2	70	2.7	189
19	ქვა და ერი	გაბრიელ არესტი	978-9941-18-067-5	60	1.45	87
20	კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში	თამარ ოთხმეზური	978-9941-18-076-7	1000	2.06	2060
21	"ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. - XXI-ის დასაწყისი)"	გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი	978-9941-18-070-5	270	11.85	3200
22	შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა	პაულ ვიდმერი	978-9941-9126-5-8	500	3.5	1750
23	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება დაწყებით კლასებში	დალი კახიანი	978-9941-18-062-0	150	6.35	953
24	უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა მიერ საკუთარი და სხვა ბავშვთა ნახატების შეფასების პედაგოგიური თავისებურებანი	დალი კახიანი	978-9941-18-073-6	150	3.25	488
რეპრინტები, ხელახალი გამოცემები, ტირაჟების დასრულება						
1	მაგის ფერი	ტერი პრატჩეტი	978-9941-18-018-7	1800	4.24	7632
2	სისხლიანი სპორტი	დიკ ფრენსისი	978-9941-18-019-4	1800	5.34	9612
3	ამბერის ცხრა პრინცი	როჯერ ზელაზნი	978-9941-18-023-1	2000	3.37	6740
4	ბაბუაწვერას ღვინო	რეი ბრედბერი	978-9941-18-017-0	1989	4.37	8692
5	"მოდერნულობის თეორიები"	კრებული	UDC (უკ) 77.035.93 მ-804 ISSN: 1987-9407 ISBN: 978-9941-18-024-8	500	1.8	900
6	"შესავალი თანამედროვე აზროვნებაში" ტომი I, (III გამოცემა, რეპრინტი)	კრებული	978-9941-18-012-5 978-9941-18-013-2	1000	7.4	7400
7	გავიგოთ პოლიტიკა (მეორე შესწორებული გამოცემა)	თომას მ. მაგმტადტი	978-9941-18-072-9	300	14.82	4446
სულ						138502

ჟურნალები და სხვა პროდუქცია						
1	"ქართველოლოგია" (გამოცემულია 4 ნომერი, ამჟამად მზადდება V)	4 ნომერი	ISSN: 1512-4975	800	4.625	3700
2	"კადმოსი"	1 ნომერი	ISSN: 1987-8788	200	6.35	1270
3	სასწავლო სამეცნიერო კრებული "ხორნაბუჯი"	1 ნომერი	UDC 902(051.2) b-763 ISSN: 1512-2999	225	22.3	5018
4	2011 წლის "ასტრონომიული კალენდარი"	აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია	ISSN 0134-9856 ISBN 978-9941-18-028-6	100	5.65	565
5	შესავალი საქართველოს კერძო სამართალში (ნაწილი პირველი)		--	100	7	700
6	შესავალი საქართველოს კერძო სამართალში (ნაწილი მეორე)		--	100	13	1300
7	უნივერსიტეტის წლიური ანგარიში (ქართულენოვანი)		--	1000	3.95	3950
8	უნივერსიტეტის წლიური ანგარიში (ინგლისურენოვანი)		--	1000	2.3	2300
9	სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა თბილისის ბაგა-ბაღებისთვის (ნაწილი 1)		--	1035	6.95	7193
10	საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვის IV ნომერი (ინგლ.)		--	350	8.8	3080
11	საკონსტიტუციო სასამართლოს მიმოხილვის IV ნომერი (ქართ.)		--	350	9.5	3325
სულ						32401
ელექტრონული გამოცემები						
1	პრაქტიკული ნევროლოგია (გამოიცა CD-ს სახით, დაჯამებულია წიგნებთან ერთად)	საბა ბეჟანიშვილი	978-9941-18-015-6	119	5.4	643
2	კარლ ლინნე - ბოტანიკის მეფე	დავით ჭელიძე	978-9941-18-071-2	გამოცემულია eBook-ის სახით	MOBI	
3	შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, I ტომი	კრებული	978-9941-18-036-1		PDF	
4	საქართველოს სამხედრო ისტორია	გია ანჩაბაძე	978-9941-18-037-8		PDF	
5	მოდერნულობის თეორიები	კრებული	978-9941-18-038-5		PDF	
6	სოციალიზმი ქართულ ფერებში	სტივენ ჯონსი	978-9941-18-039-2		PDF	
7	ანდრეზები (რელიგიურ-მითოლოგიური ტრადიციები)	ზურაბ კვიციანი	978-9941-18-040-8		PDF	
8	სეკულარიზაცია: კონცეპტები და კონტექსტები	კრებული	978-9941-18-041-5		PDF	
9	ქართველი ერის დაბადება	სტატიების კრებული	978-9941-18-042-2		PDF	
10	ჰაგაკურე - ფოთლების ჩრდილში ნაამბობი	იამამოტო ცუნეტომო	978-9941-18-043-9		PDF	
11	სკოლამდელთა ფიზიკური აღზრდა	მ. ფალავანდიშვილი	978-9941-18-044-6		PDF	
12	განჯადობა	გიგი თევზაძე	978-9941-18-045-3		PDF	
13	უცნობი წიგნები ქართველებისთვის	გიგი თევზაძე	978-9941-18-046-0		PDF	

14	უცნობი წიგნები საქართველოდან უცხოელებისთვის	გიგი თევზაძე	978-9941-18-047-7	PDF
15	ბენიამინი	რადოსლავ პაჩოხა	978-9941-18-048-4	PDF
16	სოციოლოგია	ქრეგ კალჰუნი და სხვები.	978-9941-18-049-1	PDF
17	პოლონურ-ქართული სასაუბრო	დ. მალჩევსკა	978-9941-18-050-7	PDF
18	პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის პრინციპები	დევიდ რიკარდო	978-9941-18-051-4	PDF
19	გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ	ადამ სმითი	978-9941-18-052-1	PDF
20	დაკარგულ ფესვთა ძიებაში	გ. ხიმშიაშვილი	978-9941-18-054-5	PDF
21	პაიდეასული შეთავაზება	მ. ადლერი	978-9941-18-055-2	PDF
22	ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების მონაწილეობა პერფორირებული რქოვანას რეგენერაციაში	ქ. დავითაია	978-9941-18-079-8	PDF

• საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური

საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ 2011 წლის მანძილზე განხორციელებული სამუშაოებიდან უმნიშვნელოვანესი იყო ინფრასტრუქტურის განვითარება:

1. ინფრასტრუქტურა:

1. ძლიერი წარმადობის სერვერების შეძენა-ინსტალაცია არგუსისთვის, რამაც უზრუნველყო, პირველად არგუსის ისტორიაში, არჩევის რეჟიმში სისტემის გამართული ფუნქციონირება, ყოველგვარი დაყოვნებების გარეშე.
2. ქსელური ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია უნივერსიტეტის მასშტაბით: კომპიუტერების დომენში ჩასმა, კომპიუტერული ლაბორატორიების და დარბაზების ინფრასტრუქტურის განახლება, გარკვეულ ადგილებში განხორციელდა ხელახალი დაკაბელება, აგრეთვე, უმავთულო ქსელების დამონტაჟება
3. გ.წერეთლის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი კორპუსის ლოკალური ქსელით უზრუნველყოფა, ბიბლიოთეკისთვის 2 ახალი კომპიუტერული დარბაზის მოწყობა ლოკალური ქსელით, ინტერნეტითა და კომპიუტერებით
4. G კორპუსში ახალი საკონფერენციო დარბაზის საპრეზენტაციო ტექნიკით აღჭურვა
5. საინჟინრო ფაკულტეტის ახალი შენობის ტექნიკური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, კომპიუტერული კლასის მოწყობა
6. თემქაზე მდებარე კოლეჯის კომპიუტერული კლასების აღჭურვა
7. ბაქტერიოფაგის კორპუსების ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება
8. სტუდენტთა რეგისტრაციისა და გადასახადების დარიცხვა-გადახდის ინფორმაციული სისტემა დაკავშირდა VPN-ით ბაზისბანკთან, გადახდების ბაზაში ავტომატურად აღსარიცხვად
9. სატელევიზიო სტუდიის ტექნიკური აღჭურვა
10. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 60 ახალი კომპიუტერის შეძენა-ინსტალაცია, პროგრამული უზრუნველყოფის გამართვა ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის
11. საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების გრანტიდან 29 კომპიუტერის, 5 მძლავრი წარმადობის სერვერის, 1 ვიდეო სთორიჯის, პროექტორების, ეკრანების, კამერების, მრავალფუნქციური პრინტერების შეძენა-ინსტალაცია
12. ახალი პროექტორების შეძენა-მონტაჟი აუდიტორიებში
13. ბიბლიოთეკის აღჭურვა (შეძენა-ინსტალაცია) ახალი, მძლავრი ასლგადამღები აპარატებით
14. სტამბის აღჭურვა ახალი მძლავრი ასლგადამღები აპარატით
15. ენის ცენტრისთვის (სინქრონულებისთვის) კომპიუტერული კლასის აწყობა, შესაბამისი სოფტის გამართვა

2. ინფორმაციული სისტემები:

1. უნივერსიტეტის ერთიანი მონაცემთა ბაზის - სტუდენტთა რეგისტრაციისა და გადასახადების დარიცხვა-გადახდის ინფორმაციული სისტემის დანერგვა- ექსპლუატაციაში შესვლა (ძველი ბაზიდან მონაცემების წამოღება, ახალი სტუდენტების მონაცემების შეტანა, გადახდების შეტანა)
2. არგუსის პროგრამული ნაწილის განვითარების სამუშაოები (განხორციელდა რამოდენიმე ეტაპი)
3. ელექტრონული სწავლების პროგრამული უზრუნველყოფის Adobe Connect-ის ტესტირებები-შესყიდვა
4. მწერლების პორტალის (librivivi.ge) შექმნა
5. ელექტრონული წიგნებისა და ტრადიციული წიგნების ინტერნეტ-მაღაზიის ligamus.ge შექმნა

6. ილიაუნის სასტუმროების საიტის hotels.iliauni.edu.ge (ნომრების დაჯავშნა-საფასურის გადახდის სისტემა) შექმნის უზრუნველყოფა
7. დამოუკიდებელი ვებგვერდების vsussr.iliauni.edu.ge და sovietstudies.iliauni.edu.ge შექმნის უზრუნველყოფა

3. სხვა საქმიანობა:

1. უნივერსიტეტის სისტემის ინტერნეტ-კავშირით უზრუნველყოფის ტექნიკური მხარდაჭერა
2. უნივერსიტეტის დატაცენტრის (გენერატორი+სერვერები) ადმინისტრირება და ტექნიკური მხარდაჭერა
3. უნივერსიტეტში მოქმედი ინფორმაციული სისტემების- პროგრამულ უზრუნველყოფათა გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, ინსტალაცია- გადაყენების სამუშაოების უზრუნველყოფა
4. სტუდენტებისა და თანამშრომლების საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტით და საიდენტიფიკაციო (პლასტიკური) ბარათებით (ყველა პირველი წლის სტუდენტისათვის) უზრუნველყოფა
5. არგუსის (არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა) ტექნიკური მხარდაჭერა და ადმინისტრირება
6. უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის სრული ტექნიკური მხარდაჭერა
7. ელექტრონული სწავლების პორტალის dl.iliauni.edu.ge ტექნიკური მხარდაჭერა
8. ელექტრონული სწავლების დანერგვისთვის პროფესორთა ტექნიკური მხარდაჭერა (ვიდეო-ლექციების ჩაწერა საიტისთვის univerety.org)
9. უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდის iliauni.edu.ge ადმინისტრირება და ტექნიკური მხარდაჭერა
10. საიტების- azrebi.ge, ligamus.ge, hotels.iliauni.edu.ge - ტექნიკური მხარდაჭერა
11. საუნივერსიტეტო ქვედომენების გამოყოფა და ჰოსტინგ-სერვისი (ვებ-სივრცის გამოყოფა დამოუკიდებელი ვებგვერდებისთვის)
12. ბიბლიოთეკის უცხოურ ელექტრონულ ბაზებზე დისტანციური (სახლიდან) წვდომის სერვისის ტექნიკური მხარდაჭერა
13. უნივერსიტეტში არსებული მართვის ინფორმაციული სისტემების ტექნიკური მხარდაჭერა
14. საინფორმაციო ტექნოლოგიების შესყიდვების უზრუნველყოფა როგორც უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, ისე საგრანტო შესყიდვები
15. საგრანტო პროექტებისთვის შესაძენი ტექნიკური აღჭურვილობის ტექნიკური სპეციფიკაციების, სატენდერო დოკუმენტაციისა და ბიუჯეტების მომზადება
16. პრინტერების და ასლგადამღები მანქანების კარტრიჯების შევსება
17. პრინტერების და ასლგადამღები მანქანების შეკეთების უზრუნველყოფა
18. ღონისძიებების ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
19. აბასთუმნის, ყაზბეგის, და საქართველოს რეგიონებში მდებარე სხვა წერტილების IT ინფრასტრუქტურის ტექნიკური მხარდაჭერა.

- **სტუდენტური სერვის ცენტრი**

2011 წლის განმავლობაში **სტუდენტურმა სერვის ცენტრმა** სტუდენტთა სხვადასხვა ორგანიზაციებში დასაქმების მიზნით და მათი სტაჟირების პროგრამებთან დაკავშირებით ჩაატარა არაერთი შეხვედრა:

- 2011 წლის 24 იანვარს განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი „მართებული რეზიუმეს(CV), სამოტივაციო წერილისა და რეკომენდაციის შედგენა, დამსაქმებელთან გასაუბრებისათვის მომზადება, გაცვლით პროგრამებისა და სტიპენდიების მოპოვებისათვის საჭირო რეკომენდაციები“.
- 2011 წლის 2 თებერვალს განყოფილების ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა სადაზღვევო კომპანია „პარტნიორთან“.
- 2011 წლის 7 და 13 აპრილს გაიმართა ტაო პრივატ ბანკის საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტებთან.
- 2011 წლის 8 აპრილს გაიმართა დასაქმების ფორუმი შერატონ მეტეხი პალასში, სადაც მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა სხვადასხვა ორგანიზაციებში დასაქმების მიზნით.
- 2011 წლის 29 აპრილიდან 1 მარტის ჩათვლით განხორციელდა პროექტი: საგაზაფხულო სკოლა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები საქართველოში“. პროექტის თანაორგანიზატორები იყვნენ განყოფილების უფროსი და მთავარი სპეციალისტი.
- 2011 წლის 8 ივნისს დასაქმების, დაბინავებისა და სტიპენდიების განყოფილების თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა EPI-ის მიერ ორგანიზებულ ფოკუს ჯგუფში სტაჟირების პროგრამებთან დაკავშირებით (B4B Internship Supply-side Focus Group meeting)
- 2011 წლის 15 ივნისს 4 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა EPI-ის (USAID ECONOMIC PROSPERITY INITIATIVE) მიერ ორგანიზებულ ფოკუს ჯგუფში სტაჟირების თემასთან დაკავშირებით.
- 2011 წლის 15 და 16 ნოემბერს დასაქმების, დაბინავებისა და სტიპენდიების განყოფილების ორგანიზებით უნივერსიტეტში ჩატარდა რესპუბლიკა ბანკის წარმომადგენლების გასაუბრება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით.
- 2011 წლის 18 ნოემბერს გაიმართა ტაო პრივატ ბანკის საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტებთან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით.
- 2011 წლის 2-4 დეკემბერს გაიმართა ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი - თბილისის მეორე სესია, რომელსაც თანაორგანიზებას უწევდა განყოფილების თანამშრომელი.
- 2011 წლის 2 დეკემბერს გაიმართა დასაქმების ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა სხვადასხვა ორგანიზაციებში დასაქმების მიზნით.
- 2011 წლის 2 დეკემბერს ”ალიანს ჯგუფ ჰოლდინგთან” გაფორმდა მემორანდუმი სტუდენტების დასაქმებისა და სტაჟირების მიზნით.
- 2011 წლის განმავლობაში 10-ჯერ მოხდა სტუდენტებისათვის კინოთეატრებში ფასდაკლების კუპონების დარიგება.
- 2011 წლის მარტიდან დაიწყო სტუდენტური კლუბების რეგისტრაცია და რეორგანიზება. ამჟამად ფუნქციონირებს 21 კლუბი, 2012 წლის იანვრის თვეში ამოქმედდება დამატებით 2 კლუბი. კლუბების წევრების რაოდენობაა საშუალოდ 320 სტუდენტი.
- სტუდენტური სერვის ცენტრის ორგანიზებით ყოველ პარასკევს იმართება ”უნიკინო“. ბოლო მონაცემებით ფილმის ჩვენებებს საშუალოდ 70 სტუდენტი ესწრება. ხოლო მიმდინარე სემესტრში უნიკინოს ასევე დაემატა ესპანურ და გერმანულენოვანი

კინოკლუბები, რომელთა ჩვენებებიც იმართება ყოველ მეორე ხუთშაბათს, ჩვენი უნივერსიტეტის ავსტრიულ ბიბლიოთეკაში.

- 2011 წლის გაზაფხულზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან თანამშრომლობით, სერვის ცენტრმა ორგანიზება გაუწია როგორც მაგისტრანტთა, ასევე ბაკალავრთა დამამთავრებელ ცერემონიალებს.
- მიმდინარე წლის შემოდგომაზე რაგბის კლუბ „ჯიქებთან“ შეთანხმებით მოეწყო სასინჯი ვარჯიშები ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. ამჟამად „ჯიქებში“ ვარჯიშობს ილიას უნივერსიტეტის სამი სტუდენტი.
- თვითმმართველობასთან ერთად დაიგეგმა ჩვენი უნივერსიტეტის შიდა ჩემპიონატები ჭადრაკსა და ფეხბურთში.
- 2011 წლის ოქტომბერში სერვის ცენტრის ორგანიზებით გამოცხადდა სინჯები ჩვენი უნივერსიტეტის ფუტზალის ნაკრებისათვის და ჩამოყალიბდა ახალი გუნდი.
- 2011 წლის 5 მარტს სერვის ცენტრის ინიციატივით ჩატარდა ილიას უნივერსიტეტის პირველი როკ-ფესტივალი მზიურში, სადაც გამოსული 7 ჯგუფიდან გამარჯვებულმა, The Pulse-მა, დაუკრა 25 ივნისის ბაკალავრთა დამთავრების ცერემონიაზე.
- 2011 წლის ზაფხულში გაკეთდა ორდღიანი ექსკურსია აბასთუმანში, ჩვენი უნივერსიტეტის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის და მათი ტუტორებისათვის.
- რუსთაველის თეატრის და სტუდენტური სერვის ცენტრის ერთობლივი აქციის საფუძველზე, სტუდენტები 7-ჯერ შეხვდნენ მსახიობებს, რეჟისორებს და დრამატურგებს და მათთან ერთად განიხილეს პიესები და სპექტაკლები.
- 2011 წლის 1 ივნისს სტუდენტურმა სერვის ცენტრმა და ინკლუზიური განათლების კლუბმა, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით მოაწყო კონცერტი ილიაუნის თეატრის ეზოში, სადაც დაპატიჟებულები იყვნენ სკოლის მოსწავლეები და დღის ცენტრ „აისის“ ბავშვები. „სანო სტუდია“ აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით დაარია საჩუქრები.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები სარგებლობენ 50% ფასდაკლებით „იოგას სახლში“, იოგის და ათლეტიზმის წრეებზე.
- 2011 წლის სექტემბერში სტუდენტურმა სერვის ცენტრმა ჩაატარა 22 შეხვედრა პირველკურსელებთან.
- სტუდენტური სერვის ცენტრის და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით 9,10,11 დეკემბერს ჩატარდა ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის საერთაშორისო ინგლისურენოვანი სესია.
- 2011 წლის 25 დეკემბერს იმართება შარდენის საქველმოქმედო აქცია, რომლის ორგანიზებაშიც ილიაუნის 30 სტუდენტია ჩართული.


2011 წლის დეკემბერში განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან ერთად სტუდენტურმა სერვის ცენტრმა დაიწყო **სტუდენტების ინფორმირებულობის და ჩართულობის შესახებ კვლევა**. კვლევა მოიცავს ბაკალავრებს, მაგისტრანტებს და პროფესორებს. კვლევის შედეგები იქნება 2012 წლის იანვარში.

2011 წლის დეკემბრის მონაცემებით სტუდენტურ სერვის ცენტრში დარეგისტრირებულია 4672 სტუდენტი.

*დასაქმების, დაბინავებისა და სტიპენდიების განყოფილება
ყოველთვიური შედეგები:*


თვე	მოძიებულ ი ვაკანსიები ს რაოდენობა	მოძიებული სტიპენდიები ს რაოდენობა	დასაქმებულ ი სტუდენტები ს რაოდენობა	გაცვლით პროგრამებში და ლონისძიებებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა	ფინანსური კომისიისათვის მომზადებული დოკუმენტაცია	დასაქმებასა და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებულ ი წერილები
იანვარი	25	17	14	2	1 დღის წესრიგი, 1 ოქმი, პასუხები წერილებზე	92
თებერვალი	32	41	36	10	1 დღის წესრიგი, 1 ოქმი, პასუხები წერილებზე	352
მარტი	18	30	22	17	1 დღის წესრიგი, 1 ოქმი, პასუხები წერილებზე	167
აპრილი	23	25	9	24	1 დღის წესრიგი, 1 ოქმი, პასუხები წერილებზე	33
მაისი	53	38	17	25	1 დღის წესრიგი, 1 ოქმი, პასუხები წერილებზე	17
ივნისი	80	20	260	36	1 დღის წესრიგი, 1 ოქმი, პასუხები წერილებზე	25
ივლისი	20	23	1	2	1 დღის წესრიგი, 1 ოქმი, პასუხები წერილებზე	23
აგვისტო	22	11	-	-	1 დღის წესრიგი, 1 ოქმი, პასუხები წერილებზე	9
სექტემბერი	41	17	2	3	3 დღის წესრიგი, 3 ოქმი, პასუხები წერილებზე	985
ოქტომბერი	26	19	2	1	1 დღის წესრიგი, 1 ოქმი, პასუხები წერილებზე	345
ნოემბერი	36	16	5	1	1 დღის წესრიგი, 1 ოქმი, პასუხები წერილებზე	32
დეკემბერი	-	-	56	-	1 დღის წესრიგი, 1 ოქმი, პასუხები წერილებზე	16
სულ:	375	257	424	121	14	2096

დასაქმებულ სტუდენტთა რაოდენობა



სულ: 424

გაცვლით პროგ/დონისძიებებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა



სულ: 121

ასევე 2011 წლის განმავლობაში ჩატარდა არაერთი ღონისძიება სტუდენტური სერვის ცენტრის კულტურის და სპორტის განყოფილების მიერ.

ყოველთვიური შედეგები:

თვე	ინფორმაციის გავრცელება, განცხადებები რაოდენობა	დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა
იანვარი	20	130
თებერვალი	34	147
მარტი	40	280
აპრილი	45	230
მაისი	35	158
ივნისი	22	175
ივლისი	15	54
აგვისტო	15	-
სექტემბერი	38	32
ოქტომბერი	42	470
ნოემბერი	47	577
დეკემბერი	-	79
სულ:	353	2332

- **უნივერსიტეტის თეატრი**

2011 წელი ილიას სახელმწიფო **უნივერსიტეტის თეატრის** ორ თეატრალურ სეზონს მოიცავდა:

- 2010-2011 წწ (ოქტომბერი 2010 - ივლისი 2011)
- მიმდინარე 2011-2012 წწ, რომელიც 2011 წლის 1 ოქტომბერს გაიხსნა

წლის განმავლობაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა წარმოადგინა **13 პრემიერა საიდანაც 7 პროფესიული სპექტაკლი**, ანუ პროფესიონალი სადადგმო და მსახიობებისაგან შემდგარი ჯგუფის მიერ შექმნილი წარმოდგენები იყო:

ა) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ცენტრის რეჟისორების მიერ განხორციელდა დადგმები:

- უილიამ გიბსონი „**ჯვალოს თოჯინა**“, რეჟისორი: ოთარ ეგაძე. საბავშვო წარმოდგენა ახალი წლისათვის. პრემიერა შედგა 2011 წლის 8 იანვარს
- ვასილ სტანილოვი, „**ოპერა მაფიოზო**“, რეჟისორი: გაგა გოშაძე, პრემიერა შედგა 2011 წლის 29 მაისს
- „**ინსტინქტი**“ ჟან-ჟაკ ბრიკერსა და მორის ლასეგის პიესის ”მოლანდება ანუ მამრობითი სქესი მხოლოდით რიცხვში“ მიხედვით, რეჟისორი: ოთარ ეგაძე, პრემიერა შედგა 2011 წლის 14 ოქტომბერს

ამ წარმოდგენებში პროფესიონალ მსახიობებთან ერთად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების ცენტრის პროფესიული პროგრამების სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. ეს გარემოება ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტთა პროფესიული წინსვლისათვის და მათ განსაკუთრებულ ტრენინგსა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება.

ბ) მოწვეული რეჟისორების მიერ და ერთობლივი პროექტების საფუძველზე განხორციელდა დადგმები:

- „**სულთა სამჭედლო ანუ სისხლი სისხლის წილ**“, ლაშა თაბუკაშვილის პიესის ”ათვინიერებენ მიმინოს მიხედვით“, რეჟისორი: გიორგი სავანელი, პრემიერა შედგა 2011 წლის 11 მარტს
- ედუარდო დე ფილიპო „**ნეაპოლი, მილიონერთა ქალაქი**“, რეჟისორი: შოთა კობიძე, პრემიერა შედგა 2011 წლის 26 მარტს
- ფიოდორ დოსტოევსკი „**სხვისი ცოლი და ქმარი საწოლის ქვეშ**“, რეჟისორი ხათუნა მილორავა, პრემიერა შედგა 2011 წლის 15 მაისს
- ”**კომედია ტრაგედიაზე, ანუ „ЧАЙКА“ ПО ГРУЗИНСКИ, ВО ВРЕМЯ РУССКОГО ЧАЕПИТИЯ**“ ავტორი და რეჟისორი: ლალი კეკელიძე, პრემიერა შედგა 2011 წლის 17 ივნისს

ამ ოთხი წარმოდგენიდან, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთმა (”კომედია ტრაგედიაზე, ანუ „ЧАЙКА“ ПО ГРУЗИНСКИ, ВО ВРЕМЯ РУССКОГО ЧАЕПИТИЯ”) გადაინაცვლა 2011-2012 წწ სეზონში

2011 წლის განმავლობაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა უზრუნველყო თეატრალური ხელოვნების ცენტრის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სადიპლომო და საკურსო 5 სპექტაკლის პრემიერა და აგრეთვე 1 სტუდენტური პროექტის განხორციელება. ესენია:

- უილიამ შექსპირი „**რომეო და ჯულიეტა**“, რეჟისორი: გურამ ბრეგაძე, პრემიერა შედგა 2011 წლის 18 თებერვალს
- უილიამ შექსპირი „**როგორც გენებოთ**“, რეჟისორი: გურამ ბრეგაძე, პრემიერა შედგა 2011 წლის 8 ივლისს
- კლოდ მანიე „**ბლეზი**“, რეჟისორი: სანდრო ელოშვილი, პრემიერა შედგა 2011 წლის 30 ივლისს
- ჟან-ბატისტ მოლიერი „**დონ ჟუანი**“, რეჟისორი: ბექა სტურუა. პრემიერა შედგა 2011 წლის 5 ნოემბერს
- **სტუდენტური პროექტი**: ქართლ სიმღერებზე აგრებული თეატრალიზებული კონცერტი ”**არიქა დო ვარიქა**“, რეჟისორები: ოთარ ეგაძე და თიკო ლუტიძე, პრემიერა შედგა 2011 წლის 21 ივნისს

- „ფრანგული გარნირი“ მარკ კამოლეტის პიესის ”ღამის პერანგი ექვსისთვის“ მიხედვით, რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. პრემიერა შედგება 2011 წლის 16 დეკემბერს

წლის განმავლობაში უნივერსიტეტის თეატრმა მონაწილეობა მიიღო საქართველოში გამართულ ყველა მნიშვნელოვან თეატრალურ ღონისძიებაში, რომელთაგანაც განსაკუთრებული ყურადღებას თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი (2011 წლის სექტემბერი-ოქტომბერი) და თეატრალური პრემია ”დურუჯი“ (2011 წლის აპრილი-მაისი) იმსახურებს.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართულ ”შოუ-ქეისში“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2 სპექტაკლი იყო წარმოდგენილი

- „სულთა სამჭედლო ანუ სისხლი სისხლის წილ“, ლაშა თაბუკაშვილის პიესის ”ათვინიერებენ მიმინოს მიხედვით“ (რეჟისორი: გიორგი სავანელი), რომლის ჩვენებაც შედგა 2011 წლის 30 სექტემბერს
- დანიილ იუვაჩევი ”ხარმსი“ (რეჟისორი: ოთარ ეგაძე), რომლის ჩვენებაც შედგა 2011 წლის 1 ოქტომბერს, რასაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრის მეორე სეზონის გახსნა დაემთხვა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრმა თეატრალური პრემიის ”დურუჯი 2010-2011“ ჟიურის განსახილველად 3 სპექტაკლი წარუდგინა:

- დანიილ იუვაჩევი ”ხარმსი“ (რეჟისორი: ოთარ ეგაძე)
- „სულთა სამჭედლო ანუ სისხლი სისხლის წილ“, ლაშა თაბუკაშვილის პიესის ”ათვინიერებენ მიმინოს მიხედვით“ (რეჟისორი: გიორგი სავანელი)
- ედუარდო დე ფილიპო „ნეაპოლი, მილიონერთა ქალაქი“ (რეჟისორი: შოთა კობიძე)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი 2011 წლის განმავლობაში ხშირად მასპინძლობდა სხვადასხვა საუნივერსიტეტო ღონისძიებებს, ესენია:

- ცნობილი ამერიკელი მხატვარ-გამნათებლის, ჯენიფერ ტიფტონის ტრენინგი და მასტერ კლასი
- ილიას უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ მოწყობილი პოეზიის საღამოები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლების სამინისტროს ერთობლივი საბავშვო თეატრალური ფესტივალი, სადაც თბილისის სკოლებთან ერთად სპექტაკლები წარმოადგინეს დენილმა ბავშვებმა, ეროვნულმა უმცირესობებმა, უნარშეზღუდულმა ბავშვებმა და ა.შ.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფრანგული წარმოდგენა
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმოდგენა ქართულ-პოლონური ჩანახატები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლონეთის საელჩოს პოლონური მუსიკის ერთობლივი კონცერტები
- საქართველოში იტალიის დღეების გახსნისადმი მიძღვნილი საღამო - იტალიელი და ქართველი მსახიობების მიერ ორგანიზებული ალესანდრო ბარიკოს ნაწარმოებების მხატვრული კითხვა
- იონას მეკასის ვიზუალური ხელოვნების ცენტრის, ლიტვის საელჩოს საქართველოში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი - იონას მეკასის ფილმების რეტროსპექტივა
- საქართველოში გერმანული ენის კონგრესის საზეიმო გახსნა და კონცერტი
- საბავშვო თეატრალური ცენტრის ”არტ-პოლი“ სპექტაკლი ”საშობაო წარმოდგენა”
- თამაზ ყურაშვილის ბენდის ჯაზ-კონცერტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობის მრავალი ღონისძიება
- მწერალ აკა მორჩილაძის წიგნების კრებულის პრეზენტაცია

გარდა ამისა, ყოველ ორშაბათს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი სცენას უთმობს ”ლიგამუსის” საბავშვო თეატრალურ წრეს.

• მატერიალური რესურსების სამსახური

2011 წელს **მატერიალური რესურსების სამსახურის** მიერ, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და ფაკულტეტების მოთხოვნის შესაბამისად გაფორმებულია რამოდენიმე ასეული ხელშეკრულება **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ** სხვადასხვა საქონლის მოწოდებასა და მომსახურების გაწევის შესყიდვაზე. აქედან რამოდენიმე ათეული ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შესაბამისად:

- საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და საქონლის შეძენის მიზნით 2011 წლის განავლობაში დაიდო ხელშეკრულებები – ჯამში სულ 45 604,84 ლარის ღირებულებით;
- ჰიგიენური და სადეზინფექციო საქონლისა და მომსახურების შეძენის მიზნით დადებულია ხელშეკრულებები – 77 290,00 ლარის ღირებულებით;
- საკადასტრო, საპროექტო და ტოპოგრაფიული კვლევებისა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე დადებულია ხელშეკრულებები – 7 050,00 ლარის ღირებულებით;
- სამშენებლო საქონლის შეძენაზე დაიდო ხელშეკრულებები – 65 152,80 ლარის ღირებულებით;
- ელექტრო საქონლის შეძენაზე დაიდო ხელშეკრულებები – 46 776,00 ლარის ღირებულებით;
- სამეურნეო საქონლის შეძენის მიზნით - 145 995,81 ლარის ღირებულებით;
- ავტომობილების შეკეთებასა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე დაიდო ხელშეკრულებები – 56 397,50 ლარის ღირებულებით;
- დასუფთავება დეზინფექციის მომსახურების შესყიდვის მიზნით დადებულია ხელშეკრულებები – 10 608,80 ლარის ღირებულებით;
- უძრავი და მოძრავის ქონების დაზღვევისათვის დადებულია ორი ხელშეკრულება – 35 400,00 ლარის ღირებულებით;
- ცხოველების საკვების შეძენისათვის გაფორმებულია ხელშეკრულებები – 20 845,00 ლარის ღირებულებით;
- სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე ხელშეკრულებები დადებულია – 133 500,0 ლარზე.
- ავეჯის შესყიდვის მიზნით ხელშეკრულებები დადებულია – 147 190,0 ლარზე.
- გადაუდებელი აუცილებლობით მთლიანი წლის მანძილზე გაფორმებულია რამოდენიმე ათეული გამარტივებული ხელშეკრულება საწვავის შესყიდვაზე – სპეცი - 159 895,00 ლარი, სუბსიდი - 17 959,00 ლარი და ქართუ - 25 178,00 ლარი;
- რუსთაველის ფონდიდან საწვავის შესყიდვაზე დადებულია გამარტივებული ხელშეკრულებები – 5 000,00 ლარის ღირებულებით.

➤ **სულ ხელშეკრულებები გაფორმებულია – 999 842.75 ლარზე.**

სამშენებლო-სარემონტო დეპარტამენტის მიერ 2011 წელს შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

- სამშენებლო-სარემონტო დეპარტამენტის თანამშრომლების უშუალო მონაწილეობით ქ. თბილისში, XI მ/რ 1 კვარტალში განთავსებულ უნივერსიტეტის იაკობ გოგებაშვილის საგანმანათლებლო ცენტრის მეორე სართულზე ჩატარდა ოთახებისა და ფანჯრების რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 2 947.72 ლარი;
- გ. წერეთლის გასასვლელ №1-ში განთავსებულ უნივერსიტეტის კუთვნილ G კორპუსის შესასვლელისა და ი. ჭავჭავაძის გამზ. №32-ში თეატრალური სარდაფის გადახურვის სამუშაოები, ღირებულებით – 1 359.45 ლარი;
- გ. წერეთლის გასასვლელ №1-ში განთავსებულ უნივერსიტეტის კუთვნილი კორპუსის საკონფერენციო დარბაზის, სამუშაო ოთახისა და შესასვლელი ჰოლის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 10 886.5 ლარი;
- ჩოლოყშვილის ქ. №3/5-ში მდებარე უნივერსიტეტის H კორპუსში №108-ე და №110-ე ოთახის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 4 512.63 ლარი;

- გ. წერეთლის გასასვლელ №1-ში განთავსებულ უნივერსიტეტის კუთვნილი G კორპუსის კედლის გასამაგრებლად ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 2 020 ლარი;
- ი. ჭავჭავაძის გამზ. №32-ში მდებარე უნივერსიტეტის D კორპუსში მე6 სართულზე ელექტროგაყვანილობის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 592.2 ლარი;
- ჩოლოყაშვილის ქ. №3/5-ში მდებარე უნივერსიტეტის კუთვნილი კორპუსის F222 აუდიტორიის რეაბილიტაცია, ღირებულებით – 1 738.95 ლარი;
- გ. წერეთლის გასასვლელ №3-ში მდებარე უნივერსიტეტის კუთვნილი კორპუსის პირველ სართულზე სამუშაო ოთახებისა და ტუალეტების რეაბილიტაცია, ღირებულებით – 1 881.75 ლარი;
- გ. წერეთლის გასასვლელ №3-ში მდებარე უნივერსიტეტის კუთვნილი კორპუსის საქვების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 1 912.4 ლარი;
- ი. ჭავჭავაძის გამზ. №32-ში მდებარე უნივერსიტეტის D კორპუსის 311 ოთახის რეაბილიტაცია, ღირებულებით – 2 592.9 ლარი;
- გ. წერეთლის გასასვლელ №3-ში მდებარე უნივერსიტეტის კუთვნილი კორპუსის 908-ე და 911-ე აუდიტორიებში ბიბლიოთეკის მოსაწყობად ჩატარებული რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 8 724.49 ლარი;
- დ. უზნაძის ქ. №68-ში განთავსებულ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სატელევიზიო სასწავლო ცენტრის ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 15 704.02 ლარი;
- გ. წერეთლის გასასვლელ №1-ში განთავსებულ ყოფილი ენციკლოპედიის შენობის პირველი სართულის 101, 102, 103, 104 ოთახებისა და კორიდორის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 4 217.24 ლარი;
- გ. წერეთლის გასასვლელ №1-ში განთავსებულ უნივერსიტეტის კუთვნილი კორპუსის პირველი სართულის ტუალეტების რეაბილიტაცია, ღირებულებით – 2 386.71 ლარი;
- გ. წერეთლის გასასვლელ №3-ში მდებარე უნივერსიტეტის კუთვნილი კორპუსის მეცხრე სართულის ტუალეტების რეაბილიტაცია, ღირებულებით – 3 314.45 ლარი;
- უნივერსიტეტის ქ. №2-ში მდებარე უნივერსიტეტის კუთვნილი კორპუსის პირველ და მეორე სართულზე თაბაშირ-მუყაოს ფილებით ტიხრების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 6 954.75 ლარი.

➤ **სულ სამშენებლო-სარემონტო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებულია სარემონტო სამუშაოები, სამშენებლო მასალის ღირებულებით – 71 746.16 ლარი.**

სამეურნეო ადმინისტრირების სამართველომ მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული ყველა ღონისძიების დაგეგმარებასა და აუდიტორიების შესაბამისი მოწყობილობებით აღჭურვაში, ასევე უზრუნველყო ტრანსპორტით უნივერსიტეტის თანამშრომელთა მივლინებები ექსკურსიები და ექსპედიციები. (დანართი #1);

- სამეურნეო ადმინისტრირების სამართველოს თანამშრომლებმა მიმდინარე წელის აგვისტოს თვის ბოლოს, უმოკლეს დროში განახორციელეს უნივერსიტეტის ქ. №2-ში მდებარე ანგარში (ე.წ. ბოქსები) განთავსებული უნივერსიტეტის ბალანსიდან ჩამოწერილი ძირითადი აქტივებისა და მცირე ფასიანი საშუალებების ნაგავსაყრელზე (განდგურების მიზნით) გატანა. ასევე განხორციელდა ჩამოსაწერი ინვენტარის განცალკევება (რკინის ნაკეთობებისა და ხის მასალის) და შესაბამის ჩამონათვალის მომზადება.
- აღნიშნული სამართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის აკრედიტაციის გავლასთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაციის შექმნაში.
- მიმდინარე წელს სამეურნეო ადმინისტრირების სამართველოში დასაქმდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არაერთი სტუდენტი.

სპორტკომპლექს ქარიშხალას ბაზაზე 2011 წელს შესრულებული სამუშაოები:

- საშხაპეებისა და გათბობის სისტემების მოსაწყობად ჩატარდა რიგი სამუშაოები (დაზიანებული მეთლახის დემონტაჟი, კედლებიდან კაფელის მოხსნა, კედლების ლესვა ცემენტის ხსნარით, იატაკის მოჭიმვა ცემენტის ხსნარით, კედლებზე კაფელის მოწყობა, იატაკზე მეთლახის ფილების მწყობა, გათბობის რადიატორების მონტაჟი და სანტექნიკური სამუშაოები), ღირებულებით – **7 141,63** ლარი.

სპორტკომპლექს ქარიშხალას შემოსავალმა 2011 წელს შეადგინა **279 521,00** (სპორტის სახეობებიდან: აუზი, ათლეტიზმის დარბაზი, კალათბურთი, კარატე, რაგბი, დარბაზი, კრივი და ჭიდაობა)

უნივერსიტეტში 2011 წელს საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე შემოსულია ჯამში 324 859,35 ლარი.

საწყობის განყოფილების მიერ 2011 წელს შესრულებული სამუშაოები:

საწყობის განყოფილებამ 2011 წლის მანძილზე უნივერსიტეტში უზრუნველყო საკანცელარიო საქონლისა ქალაღდის (A4-ფორმატი) მარაღის შექმნა.

საკანცელარიო საქონელის შექმნაზე დაღებუღია ხელშეკრულებები, ღირებუღებღით – **19 867,32** ლარი;

ქალაღდის (A4-ფორმატი) შექმნაზე დაღებუღია ხელშეკრულებები, ღირებუღებღებღით – **14 615,52** ლარი.

საწყობის განყოფილებამ იანვრის თვიდან დღემღდე უზრუნველყო უნივერსიტეტში 2011 წელს შემოსული ყვეღა სახის პროღუქციისა თუ ტექნიკის მიღება და მოთხოვნიღლი პროღუქციის ოპერატიუღლად ადღიღამღდე მიტანა. ასევე სხვადასხვა სახის პროღუქციის მარაგების შევსებაზე დროული რეაგირება, რათა დისკონფორტი არ შექმნიღლიყო სხვადასხვა რიგ ღონისღძიებებზე, თუ მუშაობის თვალსაზრისით.

1. 2011 წლის 13 იანვარს 14:00 საათზე ავსტრიულ აუდიტორიაში ჩატარდა მე-7 ჩარჩო პროგრამა.
2. 2011 წლის 15 იანვარს 101-ე აუდიტორიაში 13:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე გაიმართა სამართლის ფაკულტეტის I სამეცნიერო-სტუდენტური კონფერენცია.
3. 2011 წლის 21 იანვარს 101-ე აუდიტორიაში 11:00 სთ-ზე გაიმართა კონფერენცია კლიმატის გლობალური ცვლილებების პრობლემებთან დაკავშირებით.
4. 2011 წლის 22 იანვარს 101-ე აუდიტორიაში 11:00 სთ-დან 14:00 სთ-მდე გაიმართა პრეზენტაცია თემაზე "ბიზნესის განვითარება სოფლის მეურნეობაში".
5. 2011 წლის 26 იანვარს 101-ე აუდიტორიაში 10:30 სთ-დან 13:00 სთ-მდე გაიმართა პრეზენტაციები თბილისში არსებული მაღალი კლასის სასტუმროების შესახებ.
6. 2011 წლის 1 თებერვალს 101-ე აუდიტორიაში 14:00 სთ-ზე გაიმართა სადაზღვეო კომპანია "პარტნიორი"-ს შეხვედრა სტუდენტებთან.
7. 2011 წლის 28 თებერვალს 101-ე აუდიტორიაში 12:30 სთ-ზე გაიმართა შეხვედრა და მემორანდუმი გაფორმდა ტაოპრიატბანკთან.
8. 2011 წლის 5 მარტს კავკასიის ინსტიტუტი შეხვედრების ოთახში გაიმართა შეხვედრა ვორკშოპი თვისებრივ მონაცემთა ანალიზში.
9. 2011 წლის 9 მარტს წიგნის მაღაზიაში 18:00 სთ-ზე გაიმართა შედარებითი ლიტერატურის საღამო - ნესტან რატიანის მოხსენება "ერთი უზუსტობის შედეგი: კირკეს როლის არასწორი გააზრებისათვის ანტიკურ და შემდგომ ტრადიციებში?".
10. 2011 წლის 21 მარტს 101-ე აუდიტორიაში 13:00 სთ-ზე ჩატარდა ახალგაზრდა სოციალისტთა კლუბის სემინარი: "საქართველოს კომფლიქტები".
11. 2011 წლის 22 მარტს წიგნის მაღაზიაში 18:00 სთ-ზე გაიმართა საბა ნერგაძის ახალი პოეტური კრებულის "ჩემი გულის აღსარება" პრეზენტაცია.
12. 2011 წლის 23 მარტს 101-ე აუდიტორიაში 16:00 სთ-ზე გაიმართა ტალინის ტექ. უნივერსიტეტის წარმომადგენლის ქეთი ქისელის პრეზენტაცია.
13. 2011 წლის 25 მარტს ავსტრიულ აუდიტორიაში მთელი დღის მანძილზე ჩატარდა ფრანკოფონიის დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.
14. 2011 წლის 31 მარტს 101-ე აუდიტორიაში 13:00 სთ-ზე გაიმართა EWMI-ს ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის.
15. 2011 წლის 2 აპრილს 101-ე აუდიტორიაში 15:50 სთ-ზე მოეწყო აუტიზმის ცენტრის პრეზენტაცია.
16. 2011 წლის 4 აპრილს აუდიტორიაში 14:00 სთ-ზე გაიმართა შეხვედრა ახლადდაარსებული სიმულაციური ცენტრის სტუდენტებთან.
17. 2011 წლის 4 აპრილს ავსტრიულ აუდიტორიაში 18:00 სთ-ზე გაიმართა ლინგვისტურ კვლევათა ცენტრისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სემინარი.
18. 2011 წლის 12 აპრილს 101-ე აუდიტორიაში 10:00 სთ-ზე გაიმართა ამერიკელი პროფესორის ლექცია ეკოლოგიის საკითხებში.
19. 2011 წლის 21 აპრილს 15:00 სთ-ზე გაიმართა იმიტირებული სასამართლოს პროცესი.
20. 2011 წლის 28 აპრილს 14:00 სთ-ზე გაიმართა პალეოურბანისტული ექსპედიციის შედეგების პრეზენტაცია.
21. 2011 წლის 10 მაისს 101-ე აუდიტორიაში 14:00 სთ-ზე ჩატარდა ეროვნული მუზეუმის პრეზენტაცია.
22. 2011 წლის 13 მაისს 101-ე აუდიტორიაში 14:00 სთ-ზე გაიმართა როვნული მუზეუმის პრეზენტაცია.
23. 2011 წლის 14 მაისს 101-ე აუდიტორიაში 14:00 სთ-ზე ჩატარდა ნიდერლანდების ელჩის შეხვედრა სტუდენტებთან.
24. 2011 წლის 17 მაისს ავსტრიულ აუდიტორიაში 17:00 სთ-ზე გაიმართა პალეოურბანისტული ექსპედიციის შედეგების პრეზენტაცია_2.
25. 2011 წლის 19 მაისს 101-ე აუდიტორიაში 13:00 სთ-ზე ჩატარდა სამოქალაქო განათლების განვითარების ცენტრის პრეზენტაცია.
26. 2011 წლის 27 მაისს 101-ე აუდიტორიაში 10:00 სთ-ზე ჩატარდა ციურიხის საერთაშორისო კონფერენცია.
27. 2011 წლის 1 ივნისს ავსტრიულ აუდიტორიაში 16:00 სთ-ზე "ბავშთა უფლებები" - პრეზენტაცია.
28. 2011 წლის 11 ივლისს 103-ე აუდიტორიაში 09:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე გაიმართა საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისათვის.
29. 2011 წლის 12 ივლისს 103-ე აუდიტორიაში მთელი დღე გაიმართა საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისათვის.
30. 2011 წლის 13 ივლისს 103-ე აუდიტორიაში მთელი დღე გაიმართა საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისათვის.
31. 2011 წლის 14 ივლისს 103-ე აუდიტორიაში მთელი დღე გაიმართა საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისათვის.

32. 2011 წლის 10 აგვისტოს ავსტრიულ აუდიტორიაში 10:00 სთ-ზე გაიმართა გლაზგოს და კიევის უნივერსიტეტების პროფესორების შეხვედრა.
33. 2011 წლის 11 აგვისტოს ავსტრიულ აუდიტორიაში 10:00 სთ-ზე გაიმართა გლაზგოს და კიევის უნივერსიტეტების პროფესორების შეხვედრა.
34. 2011 წლის 29 აგვისტოს 103-ე აუდიტორიაში მთელი დღე ჩატარდა საზაფხულო სკოლა.
35. 2011 წლის 30 აგვისტოს 103-ე აუდიტორიაში მთელი დღე ჩატარდა საზაფხულო სკოლა.
36. 2011 წლის 31 აგვისტოს 103-ე აუდიტორიაში მთელი დღე ჩატარდა საზაფხულო სკოლა.
37. 2011 წლის 12 სექტემბერს უნივერსიტეტში გაიმართა ბრნოს უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრა.
38. 2011 წლის 14 სექტემბერს 101-ე აუდიტორიაში 10:00 სთ-ზე გაიმართა გერმანული ენის კონგრესის საჯარო მოხსენებები.
39. 2011 წლის 19 სექტემბერს 101-ე აუდიტორიაში 10:00 სთ-ზე გაიმართა ტურიზმის დეპარტამენტის დასაქმების კვირეული.
40. 2011 წლის 6 ოქტომბერს 101-ე აუდიტორიაში 14:00 სთ-ზე გაიმართა პოლონეთის გაცვლითი პროგრამების პრეზენტაცია.
41. 2011 წლის 10 ოქტომბერს ავსტრიულ აუდიტორიაში 13:00 სთ-ზე გაიმართა „მეგობრობა: კონცეპტები და პრაქტიკები საბჭოთა კავშირში კულტურათა შედარების პერსპექტივიდან“.
42. 2011 წლის 18 ოქტომბერს 101-ე აუდიტორიაში 15:00 სთ-ზე გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „helping hand“- საინფორმაციო შეხვედრა.
43. 2011 წლის 20 ოქტომბერს ენციკლოპედიის 505-ე აუდიტორიაში 14:00 სთ-ზე გაიმართა პოლონური დღეები - შეხვედრა პოლონელ ასტრონომთან.
44. 2011 წლის 1 ნოემბერს ავსტრიულ აუდიტორიაში 14:00 სთ-ზე გაიმართა კემბრიჯის კოლეჯების სამეცნიერო პროექტის პრეზენტაცია.
45. 2011 წლის 3 ნოემბერს 101-ე აუდიტორიაში 15:30 სთ-ზე გაიმართა საწყლოსნო არქეოლოგიური ცენტრის პრეზენტაცია.
46. 2011 წლის 14 ნოემბერს 101-ე აუდიტორიაში 09:00 სთ-ზე ჩატარდა ჩეხი ადიქტოლოგების ტრენინგი.
47. 2011 წლის 15 ნოემბერს 101-ე აუდიტორიაში 17:00 სთ-ზე გაიმართა ინტერნეტ გაზეთ „მკვლევარი“-ს პრეზენტაცია.
48. 2011 წლის 16 ნოემბერს 101-ე აუდიტორიაში 17:00 სთ-ზე გაიმართა „ევროპის ახალგაზრდულ პარლამენტთან“ (EYP) შეხვედრა;
49. 2011 წლის 17 ნოემბერს 103-ე აუდიტორიაში 17:00 სთ-ზე ჩატარდა ჩეხი ადიქტოლოგების ტრენინგი;
50. 2011 წლის 19 ნოემბერს 101-ე აუდიტორიაში 17:00 სთ-ზე გაიმართა ევროპული სახლის პრეზენტაცია;
51. 2011 წლის 21 ნოემბერს 101-ე აუდიტორიაში 17:00 სთ-ზე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ევროპულ-ახალგაზრდული პარლამენტის სესიების შესახებ;
52. 2011 წლის 24 ნოემბერს G კორპუსის 106 აუდიტორიაში ჩატარდა ტემპუსის პროგრამის პრეზენტაცია;
53. 2011 წლის 24 ნოემბერს G კორპუსის 106 აუდიტორიაში გაიმართა „სამოქალაქო აქტიურობის ხელშეწყობის პროგრამის“ პრეზენტაცია;
54. 2011 წლის 2 დეკემბერს 101-ე აუდიტორიაში გაიმართა ქართველი ახალგაზრდები ევროპისთვის - პრეზენტაცია;
55. 2011 წლის 3 დეკემბერს G კორპუსის 106 აუდიტორიაში გაიმართა მსჯელობა –კრიზისში მყოფ ბავშვთა და მოზარდთა დახმარება;
56. 2011 წლის 5 დეკემბერს 101-ე აუდიტორიაში აღინიშნა შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე;
57. 2011 წლის 8 დეკემბერს 101-ე აუდიტორიაში გაიმართა დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის პრეზენტაცია;
58. 2011 წლის 13 დეკემბერს G კორპუსის 106 აუდიტორიაში გაიმართა geostat - მემორანდუმზე ხელის მოწერა;
59. 2011 წლის 14 დეკემბერს 101-ე აუდიტორიაში გაიმართა პრეზენტაცია „ლიდერობის“ შესახებ.

• წიგნის მაღაზია

უნივერსიტეტის **წიგნის მაღაზიის** 2011 წლის ჯამური ბრუნვა დაახლოებით 18 000 ლარით ჩამორჩება 2010 წლის მაჩვენებელს, რაც განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით:

პირველი თვალსაჩინო განსხვავება განპირობებული იყო ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო წიგნების ნაკლებობით. 2011 წლის განმავლობაში, არ მომხდარა ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების რეალიზაცია:

2010 წელს გაკეთებული შეკვეთის ნაწილი მომწოდებელმა ორგანიზაციამ არ შემოიტანა, რითაც დაარღვია ხელშეკრულების პირობები.

2011 წლის შემოდგომის სემსტრისთვის გაკეთებული შეკვეთის შემოტანა დაგვიანდა, ვინაიდან თავდაპირველად ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ყალბი/არალეგალური წიგნები მოგვანათა. მას შემდეგ, რაც Pearson-ის წარმომადგენლებმა დაადასტურეს წიგნების სიყალბე, გამომცემლობისგან მივიღეთ ამ ფაქტის დამადასტურებელი ოფიციალური წერილი, შედეგად კი მიღება-ჩაბარება გაფორმდა Total english-ის ორიგინალ გამოცემებზე, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა წიგნის მაღაზიის სამუშაო პროცესი.

მეორე თვალსაჩინო განსხვავება, რომელიც 2011 წლის სექტემბრის თვეში გვხვდება სარემონტო სამუშაოებმა განაპირობა. წიგნის მაღაზიის მუშაობა შეჩერებული იყო ივლისის ბოლოდან - 2011 აკადემიური წლის დაწყებამდე (3 ოქტომბრამდე).

- წიგნის მაღაზიის 2012 წლის ბიუჯეტი 160 000 ლარით განისაზღვრა. კომერციული მიზნისთვის შეძენილი პროდუქციის გამოკლებით, 2012 წლისთვის წიგნის მაღაზიის საერთო ხარჯი 118 500 ლარით არის განსაზღვრული. შესაბამისად, იმისთვის, რომ წიგნის მაღაზიამ საკუთარი ხარჯი დაფაროს, მისი თვიური მოგება მინიმუმ 9875 ლარს უნდა შეადგენდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ წიგნის მაღაზიამ დაახლოებით 3500 ერთეული (წიგნი, ჟურნალი, ყავა, ნამცხვარი, მისალაცი ბარათი....) უნდა გაყიდოს ერთი თვის განმავლობაში.

- 2011 წლის განმავლობაში, წიგნის მაღაზიის მიერ გრძელდებოდა წიგნების შუამავალი ორგანიზაციების გარეშე შემოტანის პროცესი. შედეგად, არსებულ/მოქმედ 170 მომწოდებლის ნუსხას დაემატა 95 ახალი მომწოდებელი კომპანია.

დამუშავდა ინგლისურენოვანი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის შეკვეთა (Oxford & Pearson). დამუშავებული შეკვეთის შემოტანა შესაძლებელი გახდა ტენდერის პროცედურის მეშვეობით. შედეგად, წიგნის მაღაზიაში მივიღეთ Oxford VSI- ისეთი სამეცნიერო კოლექცია, რომელიც საქართველოს სხვა არცერთ წიგნის მაღაზიაში არ არის წარმოდგენილი. ასევე ძველი და ახალი გამოცემებით შეივსო Pearson-ის მხატვრული და სამეცნიერო კოლექციაც.

- დამუშავებული წიგნების ჩამონათვალიდან ვერ მოხერხდა 33 დასახელების წიგნის შეძენა. ვიმედოვნებთ, რომ 2012 წელს შევძებთ ამ ნაწილის შემოტანასაც. შეკვეთის ეს ნაწილი მოიცავდა წიგნის მაღაზია ლიგამუსისთვის დეფიციტურ წიგნებს.


- ოქტომბრის თვის გაყიდვების მაღალი მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს, რომ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების არ არსებობის შემთხვევაშიც, წიგნის მაღაზია სტუდენტებს სხვა ბევრ და მნიშვნელოვან სახელმძღვანელო წიგნებს სთავაზობს. არსებულ გამოცემებს შორის, განსაკუთრებული გაყიდვებით (თანხობრივი მაჩვენებლით და არა რაოდენობრივი) გამოირჩევა:

1. ილიას უნივერსიტეტის გამოცემები
2. სამეცნიერო ლიტერატურა / სახელმძღვანელოები
3. მხატვრული ლიტერატურა

4. საბავშვო ლიტერატურა

(1=ყველაზე გაყიდვადი, 4= ამ ჩამონათვალში ყველაზე ნაკლებად გაყიდვადი)

- 2011 წლის განმავლობაში, ლიგამუსმა სულ 5 293 ცალი უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნი გაყიდა. მათ შორის ყველაზე გაყიდვადი წიგნების სტატისტიკა შემდეგ ცხრილშია ასახული:



- ის ფაქტი, რომ მხატვრული ლიტერატურა მაღალი გაყიდვებით არ გამოირჩევა, წიგნის მაღაზიის სამკითხველო პოლიტიკის ლოგიკური შედეგია. ის, რომ წიგნის მაღაზიაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია წიგნის აღება და წაკითხვა მისი გაყიდვის შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ამცირებს.


2011 წლის მაისიდან ამოქმედდა **ლიგამუსის ინტერნეტ-მაღაზია**, რომელიც არა მხოლოდ ჩვენი წიგნების კატალოგს წარმოადგენს, არამედ მომხმარებელს აძლევს საშუალებას, რომ სახლიდან გაუსვლელად შეიძინოს სასურველი წიგნი.

- საიტი ინოვაციურია იმ მხრივ, რომ ბეჭდური გამოცემების გარდა იყიდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის ელექტრონული წიგნებიც. უახლოეს მომავალში იგეგმება სხვა გამომცემლობების მიერ შექმნილი ელექტრონული წიგნების განთავსებაც.
- რაოდენობრივი თვალსაზრისით ელექტრონული წიგნების გაყიდვების მაჩვენებელი ორჯერ აღემატება ბეჭდური გამოცემების გაყიდვების მაჩვენებელს. რაც კარგი დასაწყისია ამ ინოვაციური პროექტისთვის.
- ინტერნეტ-მაღაზიის არსებობა ბეჭდური წიგნის გაყიდვისთვისაც ხელისშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. ის, რომ წიგნი თვალსაჩინოდ (გარეკანის დასკანერებული ფოტოსურათი, ძირითადი მონაცემები, ანოტაცია) არის წარმოდგენილი მომხმარებლისათვის ძალიან მოსახერხებელია.
- თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპისთვის ინტერნეტ-მაღაზიის არსებობის შესახებ ინფორმაცია არ არის სათანადოდ გავრცელებული.
- დღევანდელი მონაცემით, სულ ატვირთულია 1779 წიგნი. აქედან სხვადასხვა მიზეზების გამო მომხმარებლისათვის არახილვად რეჟიმში 356 წიგნია.

2011 წელს "ლიგამუსმა" და უნივერსიტეტის გამომცემლობამ კვლავ მიიღეს მონაწილეობა "თბილისის წიგნის XIII საერთაშორისო ფესტივალში".

წლებანდელი წელი შარშანდელ წიგნის ფესტივალთან შედარებით ბევრად წარმატებული იყო. თუ შარშან 1233 ლარის წიგნები გაიყიდა, წელს გაყიდული წიგნების თანხამ სულ 4404.25 ლარი შეადგინა (407ცალი).

- წიგნის ფესტივალზე ყველაზე გაყიდვადი წიგნები იყო:



აღსანიშნავია ადამიანური რესურსების ფაქტორი, წიგნის მაღაზიაში სულ დასაქმებულია 14 ადამიანი. მათგან 11 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ან მოქმედი სტუდენტია.

- 2011 წელს გამოცხადებულ ვაკანსიებზე გამოხმაურებების რაოდენობა გვამღევეს იმის თქმის საშუალებას, რომ ლიგამუსში მუშაობა სტუდენტებისთვის საკმაოდ პრესტიჟულია. 2011 წელს გამოცხადებულ ვაკანსიაზე, სამ დღეში 250 სტუდენტი დარეგისტრირდა. მეორე ვაკანსიაზე კი - 135 სტუდენტი.
- მიღებული გამოცდილების შედეგად, უფრო მეტად დაიხვეწა შიდა მენეჯმენტი. გაუმჯობესდა სისტემა, რომლის მიხედვითაც თითოეულ თანამშრომელს აქვს თავისი კონკრეტული მოვალეობები და პასუხისმგებლობები. მომსახურება გაცილებით სწრაფი და ხარისხიანი გახდა.

2011 წელს, წიგნის მაღაზიაში ლიტერატურული საღამოები ორგანიზება ხდებოდა შემდეგი კატეგორიების მიხედვით.

- I (პირველი) კატეგორიის საღამოებს მიეკუთვნება ყველა ის ღონისძიება, რომელიც თავად წიგნის მაღაზიის ინიციატივით არის ორგანიზებული.
- II (მეორე) კატეგორიის საღამოებს მიეკუთვნება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ან სტრუქტურული ერთეულის/ადმინისტრაციული სამსახურის ინიციატივით ორგანიზებული საღამოები.
- III (მესამე) კატეგორიის საღამოებს მიეკუთვნება უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ან თავად სტუდენტების მიერ ორგანიზებული საღამოები.
- IV (მეოთხე) კატეგორიის საღამოებს მიეკუთვნება გამომცემლობების ან სხვა პარტნიორების ინიციატივით ორგანიზებული საღამოები.
- V (მეხუთე) კატეგორიის საღამოებს მიეკუთვნება გარეშე პირებისა თუ ორგანიზაციებისგან ინიცირებული საღამოები.

- 2011 წლის იანვრიდან გაიზარდა "ლიგამუსში" ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა. სისტემატიური ხასიათი მიიღო "პოეზიის კლუბის" და უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ჩატარებულმა საღამოებმა. ჩვენი დაკვირვებით გაიზარდა ამ საღამოებზე დამსწრე სტუდენტების რაოდენობაც.

ღონისძიების ორგანიზატორი	რაოდენობა
უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა სამსახურების თუ ინსტიტუტების ინიციატივით ჩატარებული ღონისძიებები	18
ილიაუნის პოეზიის კლუბი- ორგანიზატორი ცირა ბარბაქაძე	7
ილიაუნის სტუდენტური თვითმმართველობისა და სტუდენტების მიერ ორგანიზებული საღამოები (პოეზიის საღამოები, წიგნების პრეზენტაციები)	14
პარტნიორი გამომცემლობებისა და მომწოდებლების წიგნების/ჟურნალების პრეზენტაციები	10

• 2011 წლის აგვისტო-სექტემბერში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შედეგად წიგნის მაღაზიას ვერანდის სახით მოემატა სივრცე. წიგნის მაღაზიის ვერანდა ამ სეზონზეც ამართლებს, რადგან სიცივის მიუხედავად ათვისებულია სტუდენტების თუ სხვა მომხმარებლების მიერ. ვერანდამ სივრცის გარდა, მაღაზიას ქუჩის მხრიდან მეტი ხილვადობა შემატა.

წიგნის მაღაზიაში კვლავინდებურად ფუნქციონირებს **ლიგამუსის ბავშვების ოთახი და თეატრალური წრე**

• თეატრალური წრის პროექტის განხორციელება 2010 წლის მარტში დაიწყო. ბავშვების და მშობლების სურვილის გათვალისწინებით, «თეატრალური წრე» 2010-2011 აკადემიური წლის განმავლობაშიც გაგრძელდა.

• «ლიგამუსის» თეატრალური წრის პრიორიტეტი ბავშვების თეატრალურ თამაშებში ჩართვა იყო. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის მიზნებიდან გამომდინარე ნაკლებად ვიყავით ორიენტირებული სპექტაკლის შექმნაზე, ბავშვების მოტივაციის გასაზრდელად მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ თამაშების გარდა კონკრეტულ სპექტაკლზეც გვემუშავა. შედეგა სპექტაკლი «პიტერ პენის» პრემიერა, ხოლო წარმოდგენებიდან შემოსული თანხა პროექტის ინიციატივით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ "აუტიზმის ცენტრს" მოხმარდა.

• 2011 წლის შემოდგომის სემესტრიდან, კვლავ გაგრძელდა შაბათ დღეს არსებული ზღაპრის დღე. აღსანიშნავია, რომ ძალიან გაიზარდა ზღაპრის დღეზე დამსწრე ბავშვების რაოდენობა (ყოველ შაბათს, M=16 ბავშვი სტუმრობს წიგნის მაღაზიას).

2011 წლის განმავლობაში „ლიგამუსში“ გაგრძელდა თეატრის ბილეთების რეალიზაცია. დაიხვეწა ბილეთების დაჯავშნისა და გაყიდვის სისტემა. ამჟამად დამუშავების პროცესშია უნივერსიტეტის თეატრისა და წიგნის მაღაზიას შორის გასაფორმებელი თანამშრომლობის ახალი მემორანდუმი.

შენიშვნები:

1. წიგნის მაღაზია ამჟამად ატარებს სტუდენტების გამოკითხვას, რომელიც „ლიგამუსის“ შესახებ მათი აზრის გაგებას ისახავს მიზნად. კვლევის მონაცემების დამუშავების შემდეგ იგეგმება 2011 წლის ანგარიშის რედაქტირება.

ამ ანგარიშში მოყვანილი ყველა სტატისტიკური მაჩვენებელი ეყრდნობა ლიგამუსის ორივე ფილიალისა და ინტერნეტ-მაღაზიის მონაცემებს.

აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ უნივერსიტეტში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესმა გამოიწვია არსებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, გარდა ამისა არ დასრულებულა საბიუჯეტო წელი და შესაბამისად 2011 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური ოპერაციები, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, აღნიშნული მიმართულებით წლის მანძილზე შესრულებული სამუშაოების ანგარიში წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს კალენდარული წლის დასრულების შემდეგ.